



ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№360 (419) 19-26 აპრილი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააჟი შენიძა

**ნუგზარ კვაშილაძე:
მისტიური ნოსირი –
სიტყვები უძლებენ
ათასწლეულებს** გვ. 3



**ბესლან კობახია:
ვიცხით პროცესს
ახალი იმპულსი
და ყველაფერი
შეიხველება** გვ.2-3

**იზა
თაბაგაშვილი:
მსხვერპლშენიშვა
ქართულად** გვ. 8

**“ილორის” პოლიტიკური
დაიჯესტი:
არჩევნებამდე თვეები
დარჩა – ვინ ემზადება
ბასამარჯვებლად?** გვ.5

**გია ჩუთლაშვილი:
მიმართვა
„კუტჩისტული
ანდერძის“
მიმდევრებს!** გვ.4



**მამანტი კაკაშია:
რას ნარმოადგენს
თანამედროვე ენა,
სინამდვილეში, და რა
ინვესს უნდაღობებს
სიტყვის ეთიმოლოგიის
დადგენისას**

...მეგრული ენა ფლექსიური ენაცაა, იმ მხრივ, რომ მისი ძირისეული ორმარცვლიანი თანხმონური ფორმებისთვის დამახასიათებელია 5-ვე, 4, 3, ან 2 სმონით შიგაგახმონება, შიგაფლექსიის ანუ სმონთმონაცვლეობის სახით, რითაც იცვლება ფორმათა მნიშვნელობაც... გვ.6



**ახალი სახეები
ნახმოობაში,
ანუ ღაკა
ღოლი, განელა
გარმონი და
ნავიღააა!** გვ.8

**გოგი თოფაძე:
“გენერალისიმუს” ხიდაშელს
იმდენი “საქმენი საბმირონი”
აქვს ჩადენილი, რომლის
საბუთებიც არსებობს, რომ
არჩევნებამდე გაიქცევა
საქართველოდან** გვ.7

ბასლან კობახია: მიუხედავად პროცესის ახალი ინიციატივა და ყველაფერი შეიძლება

ნიმე თოლორაია



რა შეიცვალა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეიარაღებული კონფლიქტიდან 23 წლის შემდეგ, რა მიიღო აფხაზეთმა, როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი შორის ნდობის აღდგენა და რა უნდა გააკეთოს ამისთვის საქართველომ, რა პროცესები ვითარდება დღეს გალის რაიონში, ირდევია თუ არა აქ უნდა დაიწყო ქართველი მოსახლეობის უფლებები - „ლაიპერესი“ აფხაზური და აბაზური ხალხების მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის მინიკელს ბესლან კობახიას ესაუბრა.

„ლაიპერესი“: შეიარაღებული კონფლიქტიდან 23 წელი გავიდა. შეიცვალა ბევრი რამ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში. დღევანდელი გადმოსახედიდან რომ შევაფასოთ, რა მიიღო აფხაზეთმა ამ ომიდან? ვგულისხმობ შედეგებს, როგორც პოზიტიურს, ასევე ნეგატიურს. არის თუ არა ეს ის მდგომარეობა, რისთვისაც ღირდა ომი და ამდენი ადამიანური მსხვერპლი?

ბესლან კობახია: ომის შედეგები აფხაზეთისთვის კატასტროფულია. ჩემს თავს უფლებას მიეცემ მოვიყვანო ციტატა ჩემი მოხსენებიდან, რომელიც 2013 წელ ბრიუსელში, ევროპარლამენტში გავაკეთე.

„ომის შედეგად აფხაზი ხალხის დანაკარგი მოკლეუბის რაოდენობით მთელი მოსახლეობის დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენს. დაღუპულთა ძირითადი ნაწილი 23 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცები არიან. დაახლოებით სამჯერ მეტად ადამიანი მძიმედ დაიჭრა და დასახინდა. შეიქმნა დიდი წვევტა ქალებისა და კაცების თანაფარდობას შორის, რის შედეგად დიდი რაოდენობით ახალგაზრდა ქალებს ომის შემდგომ აფხაზეთში არ ღირსათ პოტენციური საქმროები. აფხაზეთის ეკონომიკას, რომელიც მთლიანად განადგურდა, მიიმე დარტყმა მიადგა. ასევე დიდი ზარალი მიადგა ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემებს. როგორც ცნობილია, სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა, სამეცნიერო დაწესებულებები უზრუნველად დაინგრა და განადგურდა. დაიწვა არქივების დიდი ნაწილი, რომლებშიც თავმოყრილი იყო აფხაზეთის უნიკალური მრავალსაუკუნოვანი ისტორიული დოკუმენტების უმრავლესობა. განადგურდა მუზეუმები, თეატრები, კულტურის ძეგლები. სოხუმში არ დარჩა აფხაზეთის სახელმწიფო, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა არც ერთი ძეგლი. ბევრი მათგანი აღდგენას არ ექვემდებარება.“

20 წლის წინ მთელი აფხაზეთი სასაფლად იქცა. მთელი ჩვენი ქვეყანა მოფენილია უდანაშაულოდ დაღუპულ ადამიანთა საფლავებით.“

ასეთი ვითარება იყო 23 წლის წინ. და ეს არ იყო აფხაზი ხალხის არჩევანი. აფხაზეთში ომის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება თბილისში საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო. მის მიერ აფხაზეთში საჯარისო ნაწილების შეყვანის შემდეგ, აფხაზებს უბრალოდ აღარ დაუტოვეს არჩევანი სხვანაირად მოქცეულიყვნენ. იმ მომენტში საუბარი ეხებოდა ჩვეულებრივ უფლებას სიცოცხლეზე, რომლის დაცვა ჩვენს ხალხს იარაღით ხელში მოუხდა. ამასთან, საქმე ეხება სწორედ აფხაზი ხალხის სიცოცხლეს. საქმარისია მაგალითად მოვიყვანოთ, საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების იმდროინდელი მეთაურის, გია ყარაყარაშვილის სიტყვები, როცა ის მთელი აფხაზი ხალხის განადგურებით იმუქრებოდა, მისივე ბრძანე-

ბა, რომელიც ასე კლერდა „ტყვეებს ნუ აიყვანთ“ და ა.შ.

ისეთი კითხვა, „ღირდა თუ არა, რომ აფხაზებს ებრძოლა“ უბრალოდ არც იდგა. ჩვენ უბრალოდ არანაირი ალტერნატივა არ გვქონდა. ამასთან, აფხაზეთში საქართველოსთან ომისთვის არავინ ემზადებოდა. შესაბამისად, ომის დასაწყებად ჩვენ არც იარაღი გვქონდა მასობრივად. შეიარაღების დიდი ნაწილი ჩვენ ომის დროს ნადავლის სახით აღმოვაჩინა.

შევაჯამებ რა ჩემს პასუხს, მინდა ვთქვა, რომ მივიჩნევ და ბევრჯერ მითქვამს ამის შესახებ საჯაროდ, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება 1992 წელს, აფხაზეთში საქართველოს საჯარისო ნაწილების შემოყვანის შესახებ არის დანაშაული და ქართველი და აფხაზი ხალხების წინააღმდეგ, და აუცილებელია ეს დაიგოს პირველ რიგში საქართველოს საზოგადოების მხრიდან. თუ ეს მოხდება, ეს გადაწყვეტილება შეიძლება იქცეს საფუძვლად საქართველოს საზოგადოების მიერ იმის გასაცნობიერებლად, თუ რა საშინელებაში აღმოჩნდა აფხაზური საზოგადოება 23 წლის წინ.

„ლაიპერესი“: სოციალურ ქსელებში არაერთხელ შემხვედრია აფხაზების სკეპტიკური კომენტარები, რომლებიც უკმაყოფილებს გამოხატავენდენ იმ სხვადასხვა ოქცია პროცესის მიმართ, რაც დღეს თქვენს საზოგადოებაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება. ეს შეეხებოდა როგორც რუსეთთან ხელშეკრულებას, რასაც პროტესტი მოჰყვა და ფრაზები - „ამისთვის ვიბრძობით“ ასევე იმას, რომ აფხაზეთი მხოლოდ რუსეთმა და რამდენიმე სახელმწიფომ აღიარა და სხვა საკითხებს. ამ ხნის მანძილზე, თქვენ ხომ არ გაგჩენიათ ერთგვარი იმედგაცრუების გრძობა, რომ მეტს ელოდით და ნაკლები მიიღეთ?

ბესლან კობახია: სოციალურ ქსელებში ბევრ რამეს წერენ, მათ შორის ქართულ საზოგადოებაშიც. თანამედროვე დროის აფხაზეთი ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელიც რთულ თანამედროვე პირობებში ვითარდება. თავის დროზე, მე აფხაზეთის სახელმწიფო ქონების კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. ომის შემდეგ ჩვენ ჩამოყვალბეთ ომის შედეგად მიყენებული ზარალის შეფასების სახელმწიფო კომისია. ჩვენს მიერ გაკეთებული დაახლოებით გათვლებით, ზარალმა 120 მილიარდი დოლარი შეადგინა. ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც აფხაზეთს ფინანსურ დახმარებას უწევს - ეს რუსეთის ფედერაციაა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებს. ეს დახმარება, ბუნებრივია, აფხაზეთის ძალიან სჭირდება და ჩვენ მაღლობულ ვართ რუსეთის ამ დახმარებისთვის. თუმცა რუსეთის დახმარება მარტო ფინანსური შემოსულობებით არ შემოიფარგლება. რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, დაიწყო ჩვენი საზოგადოების განვითარების ნორმალური პროცესი. ამრიგად, აფხაზეთმა მიიღო შესაძლებლობა, განავითაროს თავისი ეკონომიკური ურთიერთ რეკონსტრუქციის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარების გზით. აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემა უშუალოდ თანამშრომლობს რუსულთან, იღებს მისგან საუკეთესოს, რაც მასში არის. თავად რუსული საგანმანათლებლო სისტემა - ასევე დიდი ნაწილია თანამედროვე მსოფლიო სისტემისა, რომელიც ცდლობს გამოიყენოს მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილება. ამრიგად, აფხაზეთი განზე არ რჩება მსოფლიოს ინოვაციური გადაწყვეტილებებისგან და არა მარტო განათლების სისტემაში, არამედ, სახალხო მეურნეობის სხვა სფეროებშიც. გარდა ამისა, აფხაზეთსა და რუსეთს ძალიან ინტენსიური კულტურული გაცვლა აქვთ. გასულ წელს, მხოლოდ ორივე ქვეყნის კულტურის სამინისტროების ხაზით, დაისახა და ჩატარდა 80-ზე მეტი ღონისძიება, როგორც რუსეთში, ასევე აფხაზეთში. აფხაზეთის კულტურული ცხოვრება დღესდღეობით დატვირთულია და მომავალში ეს კიდევ უფრო მრავალფეროვანი იქნება.

მთავარი შედეგი - ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეხება, აფხაზეთის ხელმძღვანელობის, მისი პარლამენტის მიერ მიიღება და არის ჩვენი საზოგადოების მუდმივი დაკვირვების

ქვეშ, რომელიც დღეს სახეობით თავისუფალია საკუთარი შეხედულებების გამოხატვაში. ჩვენ კი იმისთვის ვიბრძობით, რომ არსებობის და სიცოცხლის უფლება მოგვეპოვებინა, რადგან სწორედ ასეთი არჩევანის წინაშე დაგვაყენეს 23 წლის წინ.

„ლაიპერესი“: ქართულ საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ აფხაზეთში ახალ თაობას ქართველისადმი მტრული განწყობით ზრდის, რომ ამ კუთხით აქტიურად მუშაობს რუსული პროპაგანდა, მათ შორის პრესის საშუალებებით, რომელიც არ აძლევს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს იმის საშუალებას, თვითონ, ყველაფრისგან დამოუკიდებლად შეიქმნან ერთმანეთზე განწყობები. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

ბესლან კობახია: ვფიქრობ შემდეგს. მანამ, სანამ ჩვენს სახელმწიფოებს (აფხაზეთსა და საქართველოს) შორის ხელი არ მოეწერება სამშვიდობო მოლაპარაკებას, ეს ასევე დარჩება და ასევე გაგრძელდება. არავინ აფხაზეთში სპეციალურად არ ზრდის ახალგაზრდობას ანტიქართული სულისკვეთებით. მაგრამ, თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ აფხაზურ საზოგადოებას საქართველოს მიმართ უნდობლობის ბევრი მიზეზი აქვს 23 წლის წინანდელი მოვლენების გამო. დღესაც კი, როდესაც ამდენი ხანია გასული ამ მოვლენებიდან, არიან ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც რევანშისტული იდეების მატარებლები არიან და ამ იდეებზე აბსოლუტურად ღიად საუბრობენ. სადაც წავიკითხე კიდევ ერთი პოპულარული ქართველი ჟურნალისტის ნაწერში, რომ მოცემულ მომენტში საქართველო „შესაძლებლობის ფანჯარას“ უნდა დაელოდოს, რადგანაც ახლა არ არის აფხაზეთზე თავდასხმის დრო, მაგრამ, როგორც კი მოშლიფდება სხვა პირობები, აი მაშინ კი შესაძლებელი გახდება „ტერიტორიული მილიანობის“ აღდგენა. ანუ, ომის არანაირი დაგმობა, არანაირი სინანული დაღუპულთა დიდი რაოდენობის გამო. ამის ნაცვლად, მხოლოდ შესაფერისი მომენტის მოლოდინი აფხაზეთზე თავდასასხმელად. რასაც არა ერთხელ შეეცადნენ, აი უკვე რამდენჯერ 1992-1993 წლების შემდეგ. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში აფხაზეთის ნდობა საქართველოს მიმართ ვერ აღდგება.

ერთადერთი გზა აფხაზეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის და ჩვენს ხალხებს შორის ნდობის აღსადგენად, ესაა საქართველოს მხრიდან ომის უპირობო დაგმობა, სასამართლოსთვის იმ პირობების გადაცემა, ვინც ომი გაანაღდა. ამას უნდა მოჰყვეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მასთან სამშვიდობო მოლაპარაკების ხელმოწერა. თუ ეს მოხდება, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ჩვენი ახალი ურთიერთობები საქმოდ სწრაფად აღდგება. და ეს იქნება, გრძელვადიანი და უსათუოდ კეთილი ურთიერთობები, რადგან, ჩვენს ხალხებს ბევრი რამ აკავშირებთ, რაც დღესდღეობით არ მუშაობს სემოაღნიშნული მიზეზების გამო.

მეცით ამ პროცესს ახალი იმპულსი და ყველაფერი შეიცვლება. ახალ ურთიერთობებს, რომლებიც ახალ რეალობას ეფუძნება, შეუძლიათ შეცვალონ არა მარტო ჩვენი დამოუკიდებულება ერთმანეთის მიმართ, არამედ, სრულიად შეცვალონ გარემოება მთელ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში. და ჩვენი და თქვენი ქვეყნები, რომლებიც გლობალურ მსოფლიოში ნაკლებად მნიშვნელოვანი არიან, სულ სხვანაირად იქნება დანახული და აღქმული. დღევანდელი რეალობა - ესაა ინფორმაცია, რომელსაც აფხაზეთზე ავრცელებენ ისეთი რუსურები, როგორიცაა, მაგალითისთვის „აფხაზეთი რუ“. ზოგჯერ როდესაც კითხულობ, ფიქრობ, ნეტა ესენი იმ თბილისში რას ეწვეიან, რაც ასე ადვილად მათ ფანტაზიას, რადგან არაფერი საერთო მათ ინფორმაციას აფხაზურ რეალობასთან უბრალოდ არ აქვს.

„ლაიპერესი“: ქართული მხარე აცხადებს, რომ არ აპირებს აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას. თავის მხრივ, სოხუმის პრინციპული პოზიციაა აღიარება, და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა დანარჩენს საკითხებზე საუბარი. თუკი ყველაფერი კიდევ დიდხანს, ან დაუსრულვლად გაგრძელდება ასე, უხეზად რომ ვთქვათ, ვის სასარგებლოდ იმუშავებს დრო, ან საწინააღმდეგოდ? ვინ უფრო მეტს მოიგებს და დაკარგავს ამით?

ბესლან კობახია: თქვენ იცით, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცედურა არ ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელ აღიარებას. ანუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აქტი - თავად ხალხის ნების გამოხატულებაა. ასე იქმნებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, ალბათ, გარდა ისრაელისა, რომელიც გაეროს გადაწყვეტილებით შეიქმნა. აფხაზეთი აღიარა რამდენიმე სახელმწიფომ - გაეროს წევრმა. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რა თქმა უნდა მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოს რუსეთის ფედერაციის აღიარებაა, რამაც ჩვენ და რუსეთს ნორმალური, მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული ურთიერთობის დამყარების საშუალება მოგვცა, რის საფუძველზეც წვდება ყველა ის პრობლემა, რაც ამ ურთიერთობების განვითარების პროცესში წარმოიქმნება ხოლმე. ეს სწორედ ისაა, რაც არ არის საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ჩვენს შორის არსებულ ან წამოჭრილ პრობლემებზე მსჯელობის თეორიული შესაძლებლობაც კი არ არსებობს. და ამაში აფხაზეთს არ მიუძღვის ბრალი. ჩვენ მზად ვართ დავამართო დიპლომატიური ურთიერთობები, ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობიანი მშენებლობის სულისკვეთებით. საქართველო არ ცნობს ამ უფლებას აფხაზეთისთვის და ამით თვითონ იკვთება აფხაზეთთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებზე მსჯელობის შესაძლებლობას. რას აძლევს ეს საქართველოს? ჩემი აზრით - კარგს არაფერს, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. პლიუსები არ არის - მხოლოდ მინუსებია. და ეს უკვე 23 წელია გრძელდება. ჩვენ სულ უფრო და უფრო ვშორდებით ერთმანეთს ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ მეზობლები ვართ და ამ ფაქტს ვერსად გავუქცევით. მეზობლებისთვის კი უფრო მომგებიანია მეგობრობა, ვიდრე ომი. აფხაზეთი მზად არიან იმეგობრონ, თუმცა თანასწორი პირობებით. და რისთვის არის მზად საქართველო? იმისთვის, რომ ისევ თავს დაესხას აფხაზეთს მისი შეპოვრების მიზნით? რისთვის არის ეს საჭირო? ამისთვის ფაქტიურად ყველა აფხაზი განადგურება იქნება საჭირო. იქნებ მოვიდა დრო, რომ გავაცნობიეროთ, რომ ამ გზას ჩიხისკენ მივყავართ? იქნებ ჯობია ახლგზურად დავიწყოთ ჩვენი ურთიერთობა? ჩემი აზრით ეს არის ის, რის შესახებაც უნდა იფიქრონ ქართველმა პოლიტიკოსებმა.

„ლაიპერესი“: თბილისი სოხუმს სთავაზობს ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რასაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს. მათ შორის არის ევროპის ბაზარი, სავიზო ლიბერალიზაცია... სოხუმში აცხადებს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით ეს პროგრამა ვერ იმუშავებს. რა განწყობაა აფხაზურ საზოგადოებაში ამ სთავაზის მიმართ? ვგულისხმობ უბრალოდ ადამიანებს, სამოქალაქო სექტორს და არა პოლიტიკოსებს. პირადად თქვენს პოზიციას როგორია?

ბესლან კობახია: აფხაზებს დღეს ნებისმიერ ქვეყანაში მოგზაურობის საშუალება აქვთ. ასეთი შესაძლებლობა იმის დამახაზურებაა, რომ ჩვენი მოქალაქეების დიდ ნაწილს რუსეთის მოქალაქეობა აქვს, რის უფლებასაც იღვება აფხაზეთის მოქმედი კანონმდებლობა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მუდმივად პრობლემებს გვიქმნის ჩვენს გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობაში, ხელს უშლის ჩვენს საერთაშორისო კონტაქტებს, ჩვენი მოქალაქეების საერთაშორისო, სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას - ეს საქართველოა. აი, მხოლოდ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ისევ საქართველო აგებს ამით. ყველაზე ახალი მაგალითი იყო გასულ წელს, როცა ჩვენი ფეხბურთელები უნგრეთში ფიფას არაწევრი ქვეყნებისთვის გამართულ ვერობის ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად არ დაუშვეს. და რა მივიღეთ, შედეგად? ამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციამ პროტესტის ნიშნად გადაწყვეტილება მიიღო, მორიგი ჩემპიონატი 2016 წელს აფხაზეთში ჩატაროს. დღეს ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ჩვენთან მზადება მიმიდნარეობს, რომელიც ივინსში უნდა გაიმართოს.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ამ ბოლო წლებში ჩვენ გამოვაცქევენთ რამოდენიმე სტატია, რომლებშიც წარმოდგენილი გვქონდა დაახლოებით ასზე მეტი სიტყვა, ძირითადად ინდოევროპული (ბერძნული, ლათინური, ფრანგული, რუსული და სხვა) და ქართული, რომელთა ახსნა ვცადეთ კოლხურის მეშვეობით. თუ როგორი დამაჯერებლობით იქნა ეს შესრულებული, მკითხველს უნდა განესაჯოს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს მოსახრებებს მათი მხრიდან არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

როგორც ცნობილია ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზებში უძველესი დროიდან დასახლებული იყო პროტოქართოვლური ტომებით და რაღაც უცნაური იმაში არაფერია, რომ ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენებში აღმოჩენილიყო კოლხური ენის პლასტები.

კოლხური, რომ ვეროპულ ენათა სუბსტრატია, ამის უდიდეს არგუმენტს წარმოადგენს ინფორმირებული მკითხველის მიერ ალბათ უკვე კარგად ცნობილი **“ფესტისის დისკოს”** ბატონი გია კვაშილავასეული დეშიფრირება, რომლის საბოლოოდ აღიარების შემდგომ დაიწყო ამ ენისადმი მსოფლიო ლინგვისტთა ინტერესის გაღვივება და მოხდება დიდი გარდატეხა სამეცნიერო საზოგადოებაში.

ამას წინათ გამოვიდა ბატონ ანზორ შონიას წიგნი სათაურით **“კოლხები-ქართველების წინაპრები”**, რომელშიც ავტორის მიერ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ კოლხეთი ძვ.წ. 144 საუკუნეებში გადატეხილი იყო ვრცელ ტერიტორიაზე შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და აქედან გამოდინარე როგორც ბატონი ანზორი ბრძანებს: **“კოლხური (მეგრული) ეთნოსი არის არა რეგიონალური ეთნოსი, როგორც მეცნიერებს მიზნიათ, არამედ ზოგადი ეროვნული ეთნოსია”**, არა თქმა უნდა განაკვირი არ უნდა იყოს თუ რატომღაც ამოღებულა პლასტი კოლხური სიტყვებისა ქართულში.

კოლხური ენის სუბსტრატის საძიებელია არა მხოლოდ ვეროპულ ქვეყნების ენებში, არამედ ძველი ახლო აღმოსავლეთის ისეთი რეგიონებიც, როგორებიცაა უმეგრები, სურბები, ხეთები, ურარტელები და სხვა. ამ ხალხთა ენებში კოლხურ ძირებს მიაკვლია და გამოაქვეყნა თავის წიგნში **“ლაზ-მეგრელთა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისტორია”** ბატონმა ბადა სოფიამ, რთაც მკითხველს გააცნო ისტორიამდელ ხანაში შუამდინარეთსა და მის გასწვრივ **“ზანანურ ენაზე”** მოლაპარაკე ლაზ-მეგრელების – აწ ქართველების მიერ შექმნილი დეამიწაზე მრავალდმერთიანობის პირველი კლასიკური რელიგია, დმერთებისა და მათი ტაძრების სახელები და მათზე შექმნილი მითები, ლეგენდები, თქმულებები, ეპოსები და ლეგენდარული გმირები, ქალაქები, მთები და სხვა სიწმინდეთა სახელები, რომელთა მიხედვითაც დამწერლობის განხილვად, გათხრების დროს

მოპოვებულ წარწერებზე ისინი მოხსენიებულნი არიან ღვთის რჩეულ ხალხად. ყველაფერი ეს მიანიშნებს ამ ხალხის და მათი ენის რაღაცნაირი იდუმალი, განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომელსაც სათანადო ყურადღება არ ექცევა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ახლა კი აქვე მოვიყვანთ ჩვენ მიერ დეშიფრირებულ (სხვათა შორის ამ სიტყვის ფუძე **“შიფრ”**-იც კოლხური წარმოშობისაა, რასაც ქვემოთ ნახავთ) რამოდენიმე სიტყვას, რომლებიც ამ ბოლო ხანებში მოვიძიეთ.

აპარტამენტი (ფრან. აპარტამენტი) – ძვ. მდიდრული ოთახი, მდიდრული ბინა.

ეს სიტყვა ასე იშლება აპარტამენტი, სადაც ფორმატი **“მენტ”**-ი სუფიქსია, მსგავსად სიტყვებში დოკუმენტი, დეპარტამენტი, კომპლი-მენტი და ა.შ. ხოლო რაც შეეხება ძირეულ ნაწილს, ის ჩვენი აზრით გამოდინარეობს კოლხურ **“მა-ფართა”**-დან, რაც ნიშნავს ძალიან ფართოს. უპირველეს ყოვლისა აპარტამენტი ასოცირდება მისი ოთახების სიფართოვებთან.

იგივე ძირისაა სიტყვა პალატა (ლათ. palatium – სასახლე) სწორედ პალატის დარბაზებში იგრძნობა განსაკუთრებული სიფართოვე (ფართო-ფართო-ფართოს). ფართანება – გაფართოება.

ასეთნაირად აკავშირებს კოლხური ძირი ამ ფორმით ერთმანეთს განსხვავებულ ორ იტყვას.

აფთიაქი (ბერძ. apotheka საწყოები)- დაწესებულება, სადაც ექიმის რეცეპტით წამლებს ამზადებენ და ყიდიან.

პოტიკება, პოტიკუა მეგრულად ნიშნავს ჩხირკედლაობას, ჩალიჩობას, არეუ-დარევას, ხოლო პოტინი ნიშნავს ხელების ფათურს, სწორედ ეს სიტყვები გამოხატავენ იმ განწყობას, რომელსაც ადგილი აქვს წამლების დამზადების დროს. **“ოპოტიკე”** (ოპოტიკებული) ნიშნავს საპოტიკოს, საჩალიჩობას, საჩხირკედლაობას. აპოტიკენს – აჩალიჩებს, ურევს.

ასე, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ენას, რომელი ენაც ზუსტად გამოხატავს სიტყვის სემანტიკას. გარდა ამისა, საწყობი აუცილებელი არაა, იყოს მაინც დამაინც წამლების. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვისაც საწყობებს იყენებდნენ. ამას გარდა, აფთიაქის არსს იმ უძველეს პერიოდში წარმოადგენდა ადგილი, სადაც უშუალოდ წამლებს ამზადებდნენ და ჩვენის დრმა რწმენით თვით ეს სიტყვა დამზადების პროცესის შემოთ ადნიშნული კოლხური სიტყვიდან მიდინარეობს.

დარნა – ამას წინათ ტელევიზიით გადაცემა **“დროებაში”** გავიდა სიუჟეტი ჯავახეთიდან, სოფელ ხიზაბავრიდან, სადაც უჩვენეს მიწისქვეშა ტალანები უძველესი დროისა, რომლებსაც თურმე დარნები ეწოდება. ადგილობრივი მოსახლეები მტრის შემოსევისას სწორედ ამ ტალანებში იმალებოდნენ, რომლებსაც ისინი საცხოვრის უწოდებენ. **“დარინალი”** მეგრულად სწორედ საცხოვრის ნიშნავს, რომლის

შეცვლილ ფორმად მიგვჩინა სიტყვა **“დარნა”**. როგორც გადაცემაში ითქვა, ეს დარნები 15 საუკუნის წინათ აუკეთა. ჩვენი აზრით დარნები გადიოდნენ დიდ დარბაზებში (რომლებიც როგორც სხანს, ჯერ მიკვლეული არაა), სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ მტერი არ დატოვებდა მათ ტერიტორიას და ვფიქრობთ, რომ **“დარბაზიც”** ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვა დარნიდან. ასე გვესახება სიტყვა **“დარნის”** ეტიმოლოგია. იმავე ძირისაა არენა (ლათ. arena), რომელიც მარტო ქეიშამოყრილი, გლადატორთა ბრძოლის ან ცირკის არენას არ ნიშნავს, ერთ-ერთი განმარტების თანახმად ის მოქმედების ადგილს, ასპარეზს ნიშნავს, გარდა ამისა, ბოლოლოგიაში ცხოვრების არენა ნიშნავს დედამიწის ზურგზე ყველა იმ ადგილთა ერთობლიობას, სადაც არსებობს შესაფერისი გარემო ორგანიზმთა არსებობისთვის. სწორედ ორინე (ორინალი), რომელიც არის დარინალის სინონიმი, კოლხურად ნიშნავს საცხოვრებელს, საარსებელს. აი, ასეთნაირად არიან განმარტულნი ერთი და იგივე ძირის სიტყვები, ერთ შემთხვევაში ვეროპაში (ლათინური arena), ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოში (ჯავახური დარნა).

ეკრპი – განმარტებით ლექსიკონში ახსნილია, როგორც წარმართა ღვთაების გამოსახულება (ხეველებრივი ქანდაკება), რომელსაც თავყანს სცემენ. თავყანს სცემდნენ და სცემენ ახლაც იმას, ვინც უყვართ, ასე რომ, ეკრპთაყვანის ცემა სიყვარულზე ყოფილა აგებული. და ეს, რომ ასეა, სხანს თვითონ სიტყვა **“ეკრპიდან”** ანუ **“ყორფილიდან”** რაც კოლხურად შეყვარებულს, საყვარელს ნიშნავს. **“ეკრპი”** არის **“ყორფილის”** სახეცვლილი ფორმა და ეს სიტყვა თავისი კოლხური სემანტიკით ზუსტად გამოხატავს იმ განწყობას, რა განწყობასაც ის იტყვებს.

ორგანო (ბერძ. organon – იარაღი, ინსტრუმენტი, მანქანა) – ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის ნებისმიერი ნაწილი, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული აგებულება და რომელიც ასრულებენ განსაზღვრულ ფუნქციებს. ორგანიზმის ნაწილი არ წარმოადგენს არც იარაღს, არც ინსტრუმენტს და არც მანქანას. მას ცხოველისთვის თუ მცენარისთვის რაღაც სარგებლობა მოაქვს, ის ცხოველისთვის თუ მცენარისთვის რაღაცაში გამოხატავს.

რგება – სახელი ორგუ(ნ), ირგუ(ნ) ზმნათა – რგება, გამოდგომა. ხე გამორგუდას, კუნხი გამორგუდას, ხუნკო ვორდენი დაბადებული: **„ხელი არ მივარგოდეს, ფეხი არ მივარგოდეს, ხეობრად ვიყო დაბადებული”**. ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი.

ორგუნი-ნიშნავს რგებს, ერგება (მართლაც ცხოველებს და მცენარეებს ყოველი ორგანო რგებთ, ერგებათ). რაც შეეხება განმარტებებს (იარაღი, ინსტრუმენტი, მან-

ქანა), როდესაც ეს საშუალებები ადამიანმა გამოიგონა, მან დიდი სარგებელი მოუტანა მას. ეს საშუალებები რგებთ (ორგუნი) მათ დაწვებული მათი გამოგონებიდან ვიდრე დღემდე. ასე რომ, ჩვენი ვერსიით ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **“რგება”**, ხოლო შემდგომში მან მიიღო მნიშვნელობა იარაღისა, ინსტრუმენტისა და მანქანისა.

როტაცია (ლათ. rotatio) – ტრიალი, ბრუნვა, წრებრუნვა და კოლხური რთა-ლა – დაბრუნება, ბრუნვა, ტრიალი. აქ როგორც ვხედავთ თითქმის სრულ დამთხვევას აქვს ადგილი ლათინური (როტაციო) და კოლხური (რთა-ლა) სიტყვების, როგორც ფუძეებისა, ასევე ამ სიტყვათა მნიშვნელობებისა.

სწრაფი – ამ სიტყვის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია. ხოლო **“სი წურაფილი”** მეგრულად ნიშნავს **“შენ დაკვლიანებული”**, ანუ ის, ვისაც დააკვლიანებენ. ე.ი. მიუთითებენ, მიმართავენ, მიაჩნებენ, მიაწვავლებენ, უჩვენებენ. ასეთი პიროვნება რა თქმა უნდა იქნება უფრო სწრაფი და მისი გზა იქნება უფრო მოკლე, ვთქვათ იმისგან განსხვავებით, ვინც ყველაფერ ამას მოკლებულია. მაღემრსობოლთა სისწრაფეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველ დროში, ომიანობისას და ის მაღემრსობოლი იყო ყველაზე სწრაფი, ვინც ყველაზე კარგად და ყველაზე დროულად იყო დაკვლიანებული ანუ წურაფილი. იმავე ფუძისაა სიტყვა **“წრფე”** ანუ სწორი ხაზი, რომელიც წარმოადგენს უმოკლეს მანძილს ნებისმიერ ორ წერტილს შორის.

შიფრი (ფრ. chiffre – ციფრი <არაბ. sifr ნული) – პირობითი ნიშნები საიდუმლო წერისათვის, სახელისა და გვარის ერთმანეთზე გადაწული საწყისი ასოები.

კოლხურად შიბუა სწორედ რომ წენას ნიშნავს, ხოლო შიბილი დაწულს. ცხადია, რომ სიტყვები **“შიფრი”** და **“შიბილი”** იდენტური არიან. დაწენის ანუ დაშიფრვის საშუალებით ახდენდნენ საიდუმლო ტექსტების შედგენას, რომელთა წაკითხვა ანუ დეშიფრირება შეეძლოთ, შესაბამისი გასაღებების საშუალებით მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ჰქონდათ საიდუმლო მიმოწერა თავიანთ მთავრობებთან და სამხედრო ძალებთან.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი სიტყვების ეტიმოლოგიებიდან გამოდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლხური (მეგრულ-ლაზური) როგორც ეთნოსი, ასევე ენაც არის არა რეგიონალური, არამედ ზოგადეროვნული. კიდევ მეტი – ის ეროვნებათაშორისო ენად შეიძლება ჩაითვალოს. ამას დრო დაადასტურებს.

ნუზნარ კვაშილავა

ბასლან კობახია: მიუხით პროსანს ახალი იოპულსი და ყველაფერი შეიხვევა

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

და ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია. მე არ მესმის, როგორ შეიძლება სიამოვნება მიიღო იმ ფაქტისგან, როდესაც მაგალითად, აფხაზი ბავშვები არ დაუშვებს სახელოვნებო ფესტივალზე ერთ-ერთ ვეროპულ ქვეყანაში? ნუთუ მსგავსი გადაწყვეტილებები მოსწონს ქართველ ხალხს? და ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სიამაყით ყვება ამის შესახებ, მიიჩნევს რა ამას თავის გამარჯვებად. და რომ დაფიქრდეთ, ასეთი „გამარჯვებები“ – ეს სწორედ რომ დამარცხებაა, რადგან მათ ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის უნდობლობისკენ მიყვავართ და ისინი არ ქმნიან პირობებს, ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის.

„ლიბნარსი“: ქართული მხარე ფიქრობს, რომ გალის რაიონში ეთნიკური ქართველების უფლებები ხშირად ირღვევა. მაგალითად, საუბრობენ გადაადგილების შეზღუდვებზე, პასპორტიზაციაზე, ქართული ენის სწავლების შევიწროებაზე სკოლებში, ინცეცლოდ რუსულის გაძლიერებაზე. ასევე ვრცელდება ცნობები, რომ აპირებენ მეგრულ ენაზე დედაების – **„ჩქინი ნინას“** შემოღებას. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ პროცესებს, ხომ არ არის ეს ახიმილირების მცდელობა, გალის ქართულ მხარესთან

კონტაქტების შემცირებისკენ მიმართული? ვის ევლება აფხაზეთში ქართულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დაცვა?

ბასლან კობახია: აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში სიტუაცია საუკეთესო ნორმალურია. გალის რაიონის ახლადდანიშნული ხელმძღვანელი თემურ ნადარაია საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობს რაიონის მცხოვრებლებს შორის. ასევე, არც თუ ისე დიდი ხანია, რაც აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გალის რაიონის მოსახლეობას საშუალებას აძლევს გააკეთოს არჩევანი მოქალაქეობის არჩევის თვალსაზრისით. ანუ, მათ შეუძლიათ დაიტოვონ საქართველოს მოქალაქეობა და აფხაზეთში ცხოვრების უფლება მიიღონ, და ისარგებლონ აფხაზეთის მოქალაქის სრულფასოვანი ცხოვრებით ერთი შეზღუდვის გამოკლებით, ისინი პრეზიდენტის არჩევნებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ყველა სხვა სიტუაციაში არანაირი შეზღუდვები არ იქნება და საქართველოს მოქალაქეობის დამაღვებს აუცილებლობაც არ იქნება. და ვფიქრობ, რომ აფხაზეთის პარლამენტმა სწორი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს

სასურველი ქვეყნის მოქალაქეობა. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ გალის რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს მოქალაქეები არიან, ელენიმიკური და სხვა გარემოებების გამო. დღეს აფხაზეთის პარლამენტმა შექმნა სიტუაცია, როდესაც ადამიანს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, რომელი სახელმწიფოს მოქალაქეობა სურს მას და ამის გაკეთება აბსოლუტურად ღიაა შეუძლია. ამას არანაირი შედეგები არ მოჰყვება. ეს ადამიანის მარტივი და ბუნებრივი უფლებაა, იყოს თავისუფალი თავის არჩევანში, და ეს უფლება აფხაზეთი კანონმდებლობითაც განტოციკებული. ასევე შეგახსენებთ, რომ გალის მოსახლეობა თავის საცხოვრებელ ადგილებს აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად დაუბრუნდა და არსად მსოფლიოში დევნილების დაბრუნების მსგავსი მაგალითი არ არის. ხოლო აფხაზეთში კი ეს არის.

და კიდევ ერთი. ყველა ეროვნება აფხაზეთში თანამედროვე ყოფის ყველა სიძნელეებს განიცდის, რაც ომის შემდგომ პერიოდს მოჰყვება. მრავალ ეროვნებათა შორის არის მოსახლეობის ოთხი დიდი ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი, მოსახლეობის ქართული ნაწილია. არ არსებობს

სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც მოსახლეობის რომელიმე ჯგუფის უფლებებს დაცვას. კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

„ლიბნარსი“: როგორ წარმოგიდგინათ აფხაზეთის მომავალი ყველაზე უკეთეს და ყველაზე უარეს შემთხვევებში?

ბასლან კობახია: მომავალში აფხაზეთს ვხედავ როგორც თავისუფალ, დემოკრატიულ, მშვიდობიან და აყვავებულ სახელმწიფოს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთობა ჩიხიდან გამოვიდეს და დალაგდეს. მაგრამ თავისთავად ეს ვერ მოხდება. საჭიროა მხოლოდ პირველადი პირობები შეიცვალოს, რათა მივიღოთ შედეგი. აფხაზეთის არაღიარების პოლიტიკა, რომელსაც საქართველო ომის შემდეგ 23 წელია ატარებს, ჩვენს ხალხებს აშორებს ერთმანეთსგან. თუ ქართველ ხალხს აფხაზეთთან კეთილი ურთიერთობის დაბრუნება სურს, ეს შესაძლებელია მხოლოდ თანასწორობის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ეს იქნება საფუძველი ახალი, კეთილი და პატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულებებისა ერთმანეთის მიმართ.

ნილო თოლორაია

მიმართვა „კუბჩისტული ანდერძის“ მიმღებებს!

მაშ ასე იწყება, მორიგი ფარსის, 2016 წლის დე ფაქტო ხელისუფლების „არჩევნების“ წინა პერიოდი. ისევ და ისევ ხელისუფლების სათავეში მოსვლას ცდილობენ ის ძალები, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ და კრიმინალურ გადატრიალებასთან ასოცირდებიან. ასევე, დე ფაქტო პარლამენტში მოსვლას ცდილობენ მათი „მოწინააღმდეგე“ ძალები, რომლებიც ამ გზით „აპირებენ გარკვეული სასიკეთო“ ცვლილებების მოხდენას!

მომავალი არჩევნები პარტიოტიზმში შეჯიბრების მართონს ექსპრესიბა და თვით ე. წ. ლიბერტინიანელებიც კი გარკვეული პარტიოტიული ღონისძიებების წინ წამოწევიანაც კი ცდილობენ.

ყველა ცდილობს თავიანთი განუმეორებლობის ხაზგასახლება წინა პლანზე ეროვნული და რელიგიური გრძობების დაყენებას. ერთი თუ თავიანთი „შეხვედლებების“ გასამყარებლად „იბრძვიან რა“ პარტიოტიკის ღონისძიების დასაცავად წმინდა მამა გაბრიელის სიტყვებსაც კი იშველიებენ: „ვინც პარტიოტიკს განიკითხავს თავზე ცეცხლის მუგუზს დაიყრისო“ – და ამავე დროს (ისევე როგორც 1991-92 წლებში) არაფრის დიდებით სიხალისე არ იკარებენ მის ხეწმინდა მუდარას, მის მოწოდებებს და შეგონებებს, რომ შეჩერდეთ: „ზვიად გამსახურდიას მტერი სამშობლოს მტერიაო!“ მეორე მხარე გამოხატავს აპირებენ უფრო მეტად და ამით უნდათ ხალხის მასების მიზიდვა.

ჩვენ რა ვქნათ?! ჩვენ, ვისთვისაც ერთიდაიგივეა ჩვენი წმინდა მამის ნებისმიერი შეგონება, რომლებიც ავტო უკვე 24 წელია ტანჯვა-წამების გზაზე, ჯვარცმის გზაზე ვდგავართ და „დროებითი დამარცხების“ მიუხედავად არ ვნებდებით და მაქსიმალურად ვცდილობთ ვიართო ზვიად გამსახურდიას გზით: „ესაა ბრძოლა ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის“. არასდროს ვგავიწყდება, რომ: „ჩვენი მოძრაობა უწინარეს ყოვლისა რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება, ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი, ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძვით უდემოკრატიის და უსამართლობის უკუნით დამეს. ჩვენს მართალ საქმეს მფარველობს განგება და ამიტომაც დავამარცხეთ მტერი. ქართული ერი არ წავა ბარბაზს გზით, უდემოკრატიის, ავანაპობის, ტერორიზმის გზით. ქართველი ერის გზა სათნოების გზაა, სიქველის გზაა, სიყვარულის გზაა და ქრისტეს გზაა“ /ზვიად გამსახურდია, 14.11.90/.

ამ გზით სიარულია ზუსტად, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვიმყოფებით ჩვენი დედა ეკლესიის წიდაში და მისი საკეთილშობილო პარტიოტიკის ერთგულ მრევლს წარმოვადგენთ.

დღეს ყველა ცდილობს თავი ყველაზე დიდ პარტიოტიად წარმოაჩინოს. აი, ნახეთ, თურმე რამდენად ეროვნულია იგი, თურმე როგორი სიკეთე სურს საკუთარი ქვეყნისა და ერისათვის და ეს ჩვენ ვერ გავგვიბა მისთვის. გვერდში სათანადოდ არ ვუდგავართ, რაც ასე ძლიერ სჭირდება თურმე (არჩევნებში წარმატებისთვის???)

ყველა ჩვენგან ელოდება დათმობას: რომ დავივიწყოთ ტანჯვა-წამების 24 წელი; რომ აღარასოდეს გავიხსენოთ იგი; რაც იყო იყო; რაღა დროს 91-93 წლებია; წინ გავიხსენოთ მომავალზე ვიფიქროთ და ამით სამშობლოს

წინსვლისთვის ნიდავი შევქმნათ; ვიართო კონსტიტუციის უზენაესობის, კანონის და სამართლიანობის გზით. ამდგარი ღონისძიებები არ აკლიათ.

კი ბატონო! მერედა ვინაა ასეთი გზის მოწინააღმდეგე? ჩვენ ხომ ეს 24 წელი ამ სამართლიანობისა და კანონიერების გზით სიარულისთვის ვიტანჯებით, როდესაც ვიმკით ამ გზიდან გადახვევის შედეგებს!

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი თქვენგანი, რომელიც კანონებისა და სამართლის ერთი საუბრობს, სინამდვილეში მხოლოდ თავის მუშაობის ინტერესების გატარებისთვის ევარება ამ მოწოდებებს! სინამდვილეში ის ვინც არ გმობს რა წარსულში თავის არასამართლებრივ, არაკანონიერ მოქმედებებს არ იხანებს რა ჩადენილ დანაშაულს (ან უბრალოდ ფარავს ამ დანაშაულში მის თანამზრახველობას), სინამდვილეში ძირს უთხრის მომავალს და ამით იგი არა მხოლოდ ჩვენს, არამედ საკუთარ შვილებს და შვილიშვილებს ისევ ტანჯვა-წამებისთვის იმეტებს!

თუ არ გმობს ძალადობის გზით ხელისუფლების ცვლას, არ გსურს ამის გამო ბოდიში მოიხადო, ადაღინო კანონიერება და ერთხელდასამუდამოდ ასეთი გზა ქვეყნისა და ერის მტრობად გამოცხადო, მაშინ რა გარანტია გაქვს რომ მომავალში როდესმე არ გამოხდება ნაძირალათა ბრბო, რომელთაც არანაკლები ნაძირლები წაახალისებენ და ახლა უკვე იმ დროისთვის არსებულ მთავრობებს არ ჩამოყრიან ხელისუფლებიდან და არ გაბატონდნენ და მისაკუთრებენ თქვენს მიერ ამავე გზით ნაშთურ ქონებას. ნურვის გონია, რომ ასეთი რამ მის შთამომავლობას არ შეეხება. შეეხება და ცუდად, სამწუხაროდ. ვაი, უბედურო საქართველო! ვაი, რადგან ჩვენ ეს უბედურება საკუთარ ზურგზე ვიწვინეთ უამრავი დაღუპული ახლობლებით, დანგრეული და გაპარტახებული ოჯახებით. ჩვენ ეს არ ვვინდა! არვის ვუხარებთ ასეთი ტანჯვა-წამების გზით სიარულს. ამიტომ ვითხოვთ სამართლიანობის და კანონიერების აღდგენას.

თქვენ კი, ვინც ამ დღემდე მიგვიყვანეთ, ისევ ჩვენ გვიხოვთ დავივიწყოთ ყველაფერი??? კი ბატონო, მაგრამ სადაა გარანტია, რომ აღარასოდეს მოხდეს ასეთი უბედურება??? ცუდი მაგალითის არსებობა ცუდია! უბრალოდ არსებული პრეცედენტი ახალსებს და უბიძგებს სხვასაც ასეთი დანაშაულისკენ! მითუმეტეს თუ მას სიკეთე და კეთილდღეობა მოაქვს მისთვის როგორც თქვენს შემთხვევაში?! შენ მე მოხვე დავივიწყო და შევეგუო ყველაფერს ამჟამინდელ არსებულს??? ზუსტად იგივეს მითხოვებ მერე ახალ ახალი გადატრიალების მომწოდებელი ისენიც იტყვიან კი ბატონო რაც იყო იყო „აწი აღარო“. და რამდენი ტრაგედია იქნება „აწი აღარო“ პერიოდებს შორის??? ეს პერიოდები კი აუცილებლად იქნება – საბაბს რა დაღვეს ამ ქვეყანაზე.

ჩვენ არ ვვინდა ამ გზით სიარული! ასეთი გზით სიარულს ვეწინააღმდეგებოდით ეს 24 წელი და ამავე გზით სიარულს ვეწინააღმდეგებოდით ახლაც! თქვენ კი ამ გზით დადიხართ ეს 24 წელი და სინამდვილეში იგივე გზით გინდათ იართო დღესაც და მომავალშიც???

და თუ ამ გზით სიარული ასე გზიბლავთ, მაშინ ნებისმიერმა თქვენგანმა მომავალ თაობას უნდა დაუტოვოთ შემდეგი შინაარსის ანდერძი: „არაუშავს რაც ახლა

თქვენს თავს ტრიალებს, რაზეც მაფრთხილებდნენ წინასწარ. მაგრამ შეგნებულად წავედი ამ ნაბიჯზე რათა იმწუთიერი სურვილები დამეკმაყოფილებინა!!! თქვენ კი შეგზუთ ყოველივეს!“

ხეივანიშნული პუბლიცისტიკური ანდერძი ეხება ყველას, ვინც მხოლოდ დღევანდელი კანონების დაცვას მოითხოვს ჩვენგან და იმ ე. წ. კონსტიტუციონალისტებს, რომლებმაც სინამდვილეში ვეხვეწე გათელეს კონსტიტუციონალიზმის არსი.

გამოსავალი? როგორ დავაღწიოთ თავი ამ ლაბირინთიდან? სამწუხაროდ, ალბათ ერთადერთია, რადგან ვერცერთი სხვა გზა მომავალი ასეთივე პროცესების გამოვრების საფრთხეს ვერ აღმოფხვრის. და ეს გზაა:

1. ერთხელდასამუდამოდ დაიკმოს 1991-1993 წლების და შემდგომი მოვლენები;
2. შევადგინო იგი, როგორც კრიმინალური გადატრიალება და უცხო ქვეყნის ინტერვენცია (თუნდაც ბალტიის ფლოსკელი);
3. ამ გადატრიალებაში მონაწილეობა გამოცხადდეს სამშობლოს დღეობად, ხოლო ამ გადატრიალების სულისჩამდგმელი გამოცხადდნენ სამშობლოს მოღალატეებად და მათ მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისი მუხლით;
4. ახლად არჩეულ პარლამენტთან ერთად აღდგენილად გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომლის კანონიერებაც კანონიერი გზით ჯერჯერობით არავის გაუუქმებია. გამოცხადდეს გარდამავალი პერიოდი და საქართველოში იფუნქციონეროს, როგორც დე ფაქტო პარლამენტმა ასევე უზენაესმა საბჭომ როგორც ორპალატიანმა პარლამენტმა, რათა ამ პერიოდში მომზადდეს ყოველგვარი სამართლებრივი და კონსტიტუციური ნორმები ხელისუფლების კანონის ჩარჩოებში დაბრუნებისა და ახალი კანონიერი არჩევნების დანიშნვისა;
5. შეიქმნას ერთობლივი, საკონსტიტუციო კომისია, რომელიც შექმნის რა ყველაასათვის მისაღებ, ცივილიზირებულ, ახალ კონსტიტუციას რეფერენდუმზე გამოიტანს მას დასამტკიცებლად!

ყოველივე ეს ნაბიჯი, თვითვე ჩვენთაგანს საშუალებას მისცემს მოვიხანოთ ჩვენი (ამა თუ იმ ფორმით) მონაწილეობა ამ 24 წლიან ტრაგედიაში და მივუტეოთ ერთმანეთს, რაც ყველას მისცემს საშუალებას სახელმწიფოს მშენებლობაში სრულყოფილი ჩართვისთვის. მხოლოდ ასეთი მონაწილეობა და მიტევა იქნება მომავალში „აწი აღარ“ ვოქის არგამორების გარანტია!!!

მონაწილეთა უფლება აქვს ყველას!!! ცხადია ყველა საველე ვერ იქცევა პაველად, მაგრამ ყველა საველე უნდა მიეცეს პაველს გზისაკენ სიარულის საშუალება!

რაც შეეხება შენდობას, მითუმეტეს რომელიმე საველეს პაველდ მოვლინებას, ეს მხოლოდ ქართველი ხალხის პრეროგატივაა!!!

დემოტმა ყველას ხელი მოუშაროთ ვინც ჭეშმარიტად ეროვნული ფასეულობების დასაცავად და სამშობლოს მომავლის კეთილდღეობისთვის იბრძვის!!!

ბია ჩუთლაშვილი

სრულიად საქართველოსა და ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს შუსამძიმრებით ქართველი ძალბატონის, მერი ჩაბუნავა-მსებუას ბარდაცვალება!

სულით-ხორცადმე შეგვიძრა, როცა შევიტყვეთ, ეროვნული გმირების, გია და გონა ესეუბების დედის იმ ქვეყნად გასვლა. საუკუნოდ იყოს სხენება ქალბატონისა, რომელიც დიდებული მაგალითია, იმისა, თუ როგორ უნდა აღზარდოს დედამ შვილები სამშობლოსათვის! 1991-92 წლების ავადსახსენებელ დღეებში, როცა გარეშე მტერს სულ-მიყიდული ავანაკები ცეცხლით უტყვედნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მთავრობის სახლთან, დამცველთა შორის მეგრძობლ ვიას და გონას ამხნევებდა მათ ახლოს მყოფი დედა! მის თვალწინ დაიდგა გია. ხოლო, მოგვიანებით, სამეგრელოს ტყეებში გასროლილმა ტყვიამ განგმირა გონაც. ორი შვილი სამშობლოს სამსხვერპლოზე... დედა არ ნანობდა შვილების მიერ არჩეულ გზას, იგი ნანობდა, რომ ზვარაკად შეწირვამ საქართველოს, მაინც ვერ მოუტანა სიკეთე და სისხლი ამოდ დაღვარეს. თუმცა ეს ასე არ არის: გონას და ვიას თავდადება დიდი მაგალითია ჩვენთვის. დიას, საუკუნოდ იქნება სხენება თქვენი გმირი შვილების გვერდით დამკვიდრებულ, სამშობლოს შეეწირა თქვენი და თქვენი ოჯახის ღამაში სიცოცხლე. დემოტმა ნათელში დაამკვიდროს თქვენი სული! (ივლით, ჩვენს გულში ან-თებულე სანთდობე გაგონათებენ გზას სულეთისაკენ! დღეს, სირიის სამთავრობო ჯარის ქართულ და ჩენურ ბატალიონში გლოვის ნიშნად დაშვებულ იქნა საქართველოსა და ჩენეთის დროშები. დავტორით ჩვენი სამშობლოს ვეხვეწე გათელილ ეროვნულ სიამაყეს!..

ირაკლი იბერი, ბიორბი ჯაფარი, დავით ბიბაური (კონსტიტუციული მცხორება), დავით ჯანდიერი, ლაშა გამსახურდია, სალრომ მფითური, მართა სავანელი, სანდრო მარიაშიძე, ბეზა ყაზაბაძე, ზაზა შორაგანი, რამაზ თორდია, ლევან ხაალოშვილი, დიანა სააპაშვილი, ლევა ჰინჭაბაშვილი, ნიკა ბიბრაძე, ჯაბა ინაური, ბიორბი ზაფაძე, ბიორბი ამაღლობაძე, ბიორბი ბუბუაძე, ჯემალ ხააბალოვი, ლემა ჯამარაშვილი

9 აპრილის დამეა უკვე... ვფიქრობდ-არაფერი დამეწერა... უბრალოდ, ვფიქრობდ-არაფერი დამეღო იმ ტრაგედიულ, მაგრამ ჭეშმარიტად დამის ამსახველი რომელიმე ფოტო ან ვიდეო-ჩანაწერ... აგრეთვე, იმ ტრაგედიულან ზუსტად ორი წლის შემდეგ ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს სახელმწიფო-ბრძობის თაობაზე დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების ამსახველი ვიდეო-მასალაც და მორჩა... მაგრამ, არ მომითმინა გულმა და მაინც გადავწყვიტე ორიოდ სტრუქტურით გამოვხატე ჩემი პირადი აზრი, პირადი დამოკიდებულება ჩვენი ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი თარიღისადმი...

უწინარესად მაინც დავნიშნავ იმას, რომ 1989 წლის 9 აპრილის დამეს მართლა აღსრულდა დიდი მისტერია... მისტერია, რომელშიც მთელი კაცობრიობის წინაშე გაცხადდა კოლხურ-იბერიული მოდემის თავისუფლებისმოყვარე და დაუოკებელი სულის სიდიადე! დიას, ეს იყო დამე, როდესაც მთელი თავისი სიმამფრთხა და პეროიკულობით გამომჩნდა ჩვენი მცირეციხოვანი, მაგრამ მთავაჟიდან დღემდე ისტორიულ კატაკლიზმებს თუ ქართველებს სასწაულებრივად გამოდევნილ ერის უნიკალურობა!

გამომჩნდა დიდებულმა, სადაც პეროიზმი და ტრაგეიზმი ისტორიული ბედუკუმართობის გამოისობით განუყოფელი აღმონდა ერთმანეთის-გან! და, როდენ დასაჩანია და მეტიც – მტრებულურიც კი, როცა, ყველა ჯურის მსოფლიო იმპერიალისტური და გლობალისტური ძალები, განურჩევლად იმისა, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან თუ აღმოსავლეთიდან იქნებიან ისინი, ყველანი ცდილობენ ჩვენს სწრაფვა

ეროვნული თვითმყოფადობის შესანარუნებლად – რაც არ უნდა დაუ-ჯდეთ ჩაგვიკლან!

არანაკლებ მტრებულურია, როცა, ჩვენი ჯიშის და ჯილაგის მიერ მოწამებობრივად დაღვრილი სისხლი ახალი მსოფლიო წესრიგის მესვეურება გამოიყენეს თავიანთი ბინძური ზრახვების ანუ ეგოპოლიტიკური თვალსაზრისით საპირწონე სივრცის გასანეიტრალებლად და არანაირად არ მოახდინეს მხარდაჭერა-სტიმულირება ეროვნულ-ტრადიციულ-ქრისტიანულ ფასეულობებზე ორიენტირებულ-დაფუძნებულ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ასაღორძინებლად! სწორედ, ამის გამო, მხოლოდ ამ მიზეზით მოხდა 9 აპრილის იმ ტრაგედიიდან ზუსტად ორი წლის თავზე დამოუკიდებლობა დეკლარირებულ საქართველოში პუტნი!

9 აპრილი...

სწორედ, ამის გამო წარმოსთქვა ზესახელმწიფოს ლიდერმა ის შემზარავი ფრაზა „გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიდის!“ სწორედ, ამის გამო უპასუხა დიდმა ზვიადმა იმ ოკეანისგამდე გაგეწვარს, რომ – „დინებას მხოლოდ მეკვარს თვეები მიჰყვებიან!“ სწორედ, ამის გამო ჩავიდა 1993 წლის შემოდგომაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანი როსკოეში და მი-იღო გარანტიები მოუსთა პრეზიდენ-ტისგან – როგორმე, იარადის ძალითაც კი, შეენარჩუნებინათ ხელისუფლება მამათელი „დიდი პოლიტიკოსისათვის!“ სწორედ, ამის გამო არ სჭირდებოდათ ცოცხალი გამსახურ-დია! ის გამსახურდია, რომელიც თავისი უდიდესი ინტელექტით მშვენივრად ჩასწვდა გლობალისტური ძალების მესვეურთა ნამდვილ ზრახვებს!

დიას, ზვიად გამსახურდიამ შესანიშნავად გააანალიზა, რომ მსოფლიო პოლიტიკის ვეშაპებს სრულებით არ ანაღვებდათ ერთა ბუნებრივი მისწრაფებანი – ჰქონდათ დამოუკიდებელი და ეროვნული სახელმწიფოებრიობა! და, მოხდა ის – რაც მოხდა, ანუ ტრაგედია!..

პუტნის შემდეგ დევნილი და შეუ-რაცხოფილი ზვიად გამსახურდია მაინც ბრუნდება საქართველოში და ბოლოს აქვე აღესრულება... მან დე-ვნილობაში შემოიარა მთელი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასია და ბოლოს თავის ისტორიულ სამშობლო კოლხეთში დაამთავრა ამქვეყნიური ცხოვრება! და, ამაშიც ჩემი აზრით იყო რაღაც მისტერიული..

მომაწვა უკვე... ძალიან მომაწვა განცდა! მტკივნეულია ჩემთვის ეს თემა! ერთს ვიტყვი კიდევ და ამით დავამთავრებ... უფრო სწორედ, მინდა გითხრაო, რომ ბრძოლა მამულის გადასარჩენად კიდევ გრძელდება!

სხვა არჩევანი ჩვენ არ დავკვიტოვა განცდამ!

მითუმეტეს, რომ ამას მოითხოვენ ჩვენგან წინაპართა სულები!

9 აპრილს დაღუპულთა სულები! ზვიად გამსახურდიას სული არ ისვენებს ალბათ ზეცაში და მოითხოვს ჩვენგან მეტ ძალისხმევას!

სხვებიც, სხვებიც, სამშობლოსათვის სხვა თავდადებულთა სულებიც ამას მოითხოვენ ჩვენგან! უფაღმა ნათელში ამყოფოს ისინი! ჩვენ კი, შეგვეწვიოს უფალი მამულიშვილები ზრახვებში!

ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი



არჩევნებამდე თვეები ღარჩა — ვინ ემზადება განსამარჯვებლად?

საპარლამენტო არჩევნებამდე 6 თვეა დარჩენილი და პოლიტიკური პარტიებიც აქტიურად ემზადებიან. თუმცა, უკვე არსებულ და ბევრისთვის ცნობილ პარტიებთან ერთად საარჩევნო ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალებიც გამოჩნდნენ. მათგან ზოგი მმართველ გუნდს გამოყოფს, ზოგი საპარლამენტო უმცირესობას, ზოგიც კი, პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველ ნაბიჯებს დგამს. შევეცადეთ გავგვეჩვენოთ, ეს პარტიები მიიღებენ თუ არა მონაწილეობას სამშობლოში არჩევნებში და რა შანსები აქვთ მათ მმართველ გუნდთან შედარებით.

არჩევნებისთვის აქტიურად ემზადება პოლიტიკური ცენტრი "გირჩი" — "რა თქმა უნდა, "გირჩი" აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ბოლო სამი თვეა ამ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციით ვართ დაკავებული", — ამბობს პარტიის წევრი გოგია ხაჩიძე. მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ თუ "გირჩს" (და არა "გირჩს", როგორც ხაჩიძე წოდებული ხაჩიძისი და მისი დაშნაკი თანაგუნდელები ამტკიცებენ) საფუძვლიანად გაფხიკავებულ იქნა ის "ნაციონალი" შეგრძობა, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში უწყვეტად სახელმწიფოებრივ ბურჯს საქართველოს.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს პარტია "ბედნიერი საქართველოც", რომლის დამფუძნებელი კიევის ყოფილი მერი, ლეონიდ ჩერნოვცკია და რომელსაც, არც მთლად უსაფუძვლოდ, სააკაშვილის მიერ საქართველოში შემოგზავნილი "მეხუთე კოლონად" განიხილავენ. ამ ეჭვს აქვს არსებობის უფლება, რადგან ჩერნოვცკის უკრაინაში არაფერი გაუკეთებია ქვეყნისათვის სასარგებლო და ხელშეხსნები, კანონისა და მორალის უგულვებელყოფით, დიდი ფული იშოვა ქალაქ კიევის მერად, მიუშინა დროს და, აქედან გამომდინარე, საქართველოს რა ხეირი უნდა დააყაროს?

ამ ეტაპზე პოლიტიკური გეგმები არ აქვს პაატა ბურჯულაძის "საქართველოს განვითარების ფონდს". როგორც ორგანიზაციის წევრი ხათუნა ლავაზიძე ამბობს, "ამ წუთას არანაირი პოლიტიკური გეგმები არ განიხილება". მაგრამ, საქართველოს მთავარმა აუდიტმა (ადრე რომ კონტროლის პალატას უწოდებდნენ) გააფრთხილა ბურჯულაძე და ჩერნოვცკიც, რომ დროულად განსაზღვრონ მათი ორგანიზაციის პოლიტიკური სტრატეგია და თუ ისინი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ, აიღონ თანხედრი ფინანსური ვალდებულებებიც, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიერ საქველმოქმედო გადაღებული თანხა ამომრჩევლის მოსყიდვად განიხილება, აქედან გამომდინარე საჯაროობა სანქციებთან...

ახალი პოლიტიკური პარტიების შანსები საარჩევნო პოლიტოლოგებს შეეფასებინეთ. პოლიტოლოგ კორნელი კაკაბიას თქმით, ჩამოთვლილ პარტიებს შორის არჩევნებში გარკვეული ხმების მოგროვების და კონკურენციის გაწვევის შანსი "თავისუფალ დემოკრატებს" აქვთ, რაც, საქმეში ხანხელული ექსპერტების აზრით მცდარი მოსაზრება გახლავთ, რადგან დღეს ალანაინას და მის თანაგუნდელებს არც წარმატებისათვის საჭირო რეიტინგი გააჩნიათ და არც წინასწარჩევნო ფინანსური თუ მატერიალური რესურსები.

"თეორიულად თუ ეს პარტიები გაერთიანდებიან, ალბათ რაღაც შანსი აქვთ, მაგრამ რეალურად თუ ვიმსჯელებთ, არა მგონია მათ რაიმე გაერთიანების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ჩერნოვცკისა და ბურჯულაძის ორგანიზაციებს სერიოზულად არც განვიხილავდი გამომდინარე იქიდან, რომ მათ არ აქვთ პარტიული სტრუქტურები და არჩევნებამდე იმდენად მცირე დროს დარჩა, რომ ერთადერთი ვარიანტი არის რეალურად არა მგონია ძლიერი პარტიის შექმნა მოახერხონ და რაც მთავარია საზოგადოება თავის მხარეზე გადმოიყვანონ.

რაც შეეხება "თავისუფალ დემოკრატებს", მათ აქვთ ამის შანსი, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ განვითარდება მოვლენები "ქართულ ოცნებაში" და სად იქნებიან "რესპუბლიკელები", დარჩებიან კოალიციაში, რისი შანსიც დიდია, თუ ბოლო მომენტში დატოვებენ კოალიციას", — მაინც ამტკიცებს კაკაბია. რესპუბლიკელებს მართლაც დატოვებს კოალიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი პოლიტიკური მხე სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც ჩაქსეფდა. თუმცა, რესპუბლიკელებსა და მათ "პერსპექტივაზე" დაწერილებით მასალებს გამოვსაქვეყნებთ ჩვენი გაზუთის უახლოეს ნომერში.

პოლიტოლოგის თქმით, ბოლო პერიოდში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ხალხში ახალ პოლიტიკურ ძალაზე მოთხოვნა: "მაგრამ ამ კონფიგურაციაში, როგორც ახლა არსებობს, ცოტა გაჭირდება საზოგადოების ნდობის მოპოვება, რადგან "თავისუფალი დემოკრატების" გარდა, არცერთ ახალ პარტიას ცალკე არ აქვს იმის უნარი, რომ მოსახლეობის დიდი პროცენტი მიიმხროს".

"ასევე მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად ძლიერი რეგიონალური ორგანიზაციები აქვთ ამ პარტიებს, რაშიც სამწუხაროდ ბევრი მათგანი მთავარსა და რაც ყველაზე მთავარია, კონკრეტული გზავნილები ამომრჩევლის მიმართ, საარჩევნო პროგრამა, რომელიც ჯერ არ ჩანს", — ამბობს კორნელი კაკაბია.

ექსპერტი არაფერს ამბობს იმაზე, რომ თუ ღარჩაში იმისი ახალი პოლიტიკური ძალით შემოვა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მას წარმატების საკმაოდ დიდი შანსი გააჩნია და გამოიცხადებს არ არის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ძლიერი პოლიტიკური კარტი აღმოჩნდეს ივანიშვილის ხელში, რომელიც აშკარად არ ამქვადნებს დიდ სიმპატიებს გათავსებულ და დაუთოვებელი ამბიციების მქონე "რესპუბლიკელებს" მიმართ და შეეცდება მათ ჩანაცვლებას უფრო პატრიოტული შეხედულებების მქონე პოლიტიკური ძალით.

ყოველივე ამის ფონზე ისმის ლოგიკური შეკითხვა — სად არის და რას აპირებს ავადსახსენებელი "ნაციონალური მოძრაობა", რომელსაც საქართველოც ვეხებზე ჰქვია და ქართველი ერის და ახლა მხედროდ იმისათვის იბრძვის, რომ თუნდაც მცირედ იმის კონტროლი შემორჩეს პოლიტიკურ სივრცეს და, რაც მთავარია, ეკვლანაირად შეუშალოს ხელი "ქართული ოცნების" წარმატებას!

სწორედ ამიტომ, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვე ადრე, "ნაციონალურმა მოძრაობამ" საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების მობილიზაცია დაიწყო. საუბარი 10-დან 15 ათასი ახალგაზრდის მობილიზაციაზე, რომლებიც აპირდნენ თვეში 8-ჯერ გაივლინათ სწავლების სპეციალურ კურსს, როგორ უნდა აღკვეთონ საარჩევნო უბანზე არჩევნების გაყვალბება.

რაც შეეხება მოხალისეების ანაზღაურებას, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ მოხალისეები პარტიას უნაზღაუროდ მოემსახურებიან. თუმცა, როგორც "ნაციონალური მოძრაობასთან" დაახლოებული წყარო ამბობს, პარტიამ რეგიონალურ ხელმძღვანელებს უკვე მისცა დახმავება, რომ ფულადი ანაზღაურების საფასურად უზრუნველყონ ახალგაზრდების მობილიზება. ერთი მოხალისის ცხოვრების, კვების, გადაადგილების ფულს პარტია ფარავს. გარდა ამისა, მოხალისეები გაწვეული სამსახურისთვის მიიღებენ ხელფასს.

"კომისიის წევრი და პარტიის წარმომადგენელი იღებს ხელფასს ბიუჯეტრიდან, დანართნი იქნებიან მოხალისეები და მათი მუშაობა არ იქნება ანაზღაურებადი და ამის მაგალითი გვექნება გარდაბანში. ჩვენ გეჭირდება ბევრი დამკვირვებელი. გარდაბანმა დაგვანახა, რომ ტრენინგის გარეშე ეს შეუძლებელია. 3.200 კომისიისა და სულ, რომ 3 კაცი გვეყვადეს კომისიაში, დაახლოებით 10 ათას კაცს უნდა ჩაეუტაროთ ტრენინგი. რაც მეტი იქნება, მით უკეთესი, მაგრამ 10 ათასი ადამიანი უნდა გვეყვადეს მომზადებული, რომელსაც ეცოდინება წესი, როგორია საარჩევნო პროცესი, რომ არ მოხდეს გაყვალბება", — აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი.

მაჭავარიანი დარწმუნებულია, რომ პარტიისთვის 10 ათასი მოხალისის შეკრება პრობლემას არ წარმოადგენს.

"10 ათასი არის მინიმუმი, ვფიქრობთ, რომ 15 ათასამდე ადამიანს ჩაეუტარებოთ ტრენინგი. რატომ მეტი ხნით შეეძლებოდა თუ არა 10 ათასი ადამიანის მობილიზებას? და რა პრობლემაა 10 ათასი კაცი, "ნაციონალური მოძრაობისთვის"? არც 10 და არც 15 ათასი პრობლემა არ არის და ეს ჯაჭვის აქტებზე გვაჩვენებს. თუ ორგანიზებულია საუბარი, "ნაციონალური მოძრაობას" მაგის პრობლემა ნამდვილად არ აქვს. ტრენინგები რომ დაიწყება, თქვენ თვითონ ნახავთ რა აქტიურობა იქნება.

ტრენინგები ჩატარდება რაიონული ორგანიზაციების ოფისებში, იმ შემთხვევაში, თუ მოხალისეების რაოდენობა გაიზრდება, დარბაზებს ვიჭირავებთ. მაგალითად, შარშან როდესაც რეგიონებში საარჩევნო კოდების განხილვა მოვაწყვეთ, NDI-ი დაგვეხმარება. ახლავე ვაცხადებ, რომ ჩვენ გეჭირდება 10-15 ათასი ადამიანი", — აღნიშნავს მიხეილ მაჭავარიანი.

უმცირესობის წევრი, ხათუნა გოგორიშვილი ჩვეული სომხურ-დაშნაკური რიხითაცხადებს, რომ რამდენი ადამიანი იქნება საჭირო, იმდენი ადამიანის მობი-

ლიზაციას შეძლებს "ნაციონალური მოძრაობა", რათა არჩევნების დღე მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს.

"გარდაბნის არჩევნებმა კარგად აჩვენა, რომ 2 და 3 დატრეინინგებული ადამიანის ყოფნა საარჩევნო უბანზე საკმარისია იმისათვის, რომ ვერ გააყვალბონ არჩევნები. ჩვენ ვმუშაობთ მოხალისეებთან. ასე რომ, ეს პროცესი დაწყებულია. შემოძლია დიუხბათ, რომ ეს პროცესი რამდენიმე დღე დაიწყეთ და უკვე როგორც პირველმა დღემ აჩვენება, 10 ათასი ადამიანის მობილიზება ჩვენთვის პრობლემა არ იქნება", — ამტკიცებს პირზე ქაფმოდებული ხათუნა გოგორიშვილი.

საარჩევნო კანონის თანახმად, ნებისმიერ პოლიტიკური სუბიექტს შეუძლია საარჩევნო უბანზე როგორც დამკვირვებელი, ასევე წარმომადგენელი ჰაყვადეს. თუმცა, ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ "ნაციონალური მოძრაობის" განცხადებას, რომ მოხალისეების დატრეინინგებას არჩევნების გაყვალბების აღსაკვეთად იწყებენ.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, თუ გამოვალთ იქიდან, რომ "ნაციონალური მოძრაობის" გამოცდილება არჩევნების გაყვალბებაში ძალიან დიდია და მათ არაერთხელ მოუხერხებიათ გაყვალბება ისეთი მასშტაბით, რომელიც ლიტერატურაში დაც კი არ იყო აღნიშნული, რწმენა, რომ ეს ჯგუფები გაყვალბების საწინააღმდეგოდ იქმნება, ნდობას არ იწყებს.

"ნდობის არგამოწვევა უკვე ნიშნავს იმას, რომ ფართო საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულია, რომ არჩევნები არ გაყვალბდეს, არ წავა ამ წინადადებაზე საგარეულოდ, უფრო, თავისი აქტივისტები ცვლენ და ამიტომ დაისვა თქვენგანაც კითხვა, მოახერხებენ თუ არა ამ რაოდენობის აქტივისტების შეკრებას.

მეეჭვება, რომ მოახერხონ, თუკი აქტივისტებზე ზუსტად ლაპარაკი, მაგრამ გამოიცხადებოდა არ არის ნაგარაუდები იყოს ანაზღაურებით ხალხის მოზიდვა და ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდება ამ რიგებში, ვიდრე დღეს მხარდამხრეებს ითვლის "ნაციონალური მოძრაობა". ეს არის საარჩევნო ბრძოლის ტრენინგი, რომლის მიზანი იქნება საარჩევნო ხმების გადმოქმნა ნაციონალურ მხარეს და არა ობიექტური სურათის შენარჩუნებისათვის", — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

"ქართული ოცნების" წევრის, გიგა ბუკიას განცხადებით, თუკი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი (იგულისხმე ყოველი მკადრებული დაშნაკურ-არაქართული პოლიტიკური ძალა "ნაციონალური მოძრაობა") გადაწყვეტს საარჩევნოდ ზონდერ ჯგუფების შექმნას, ან მათი მეშვეობით არჩევნების პროცესს ხელი შეუშალოს, კანონის შესაბამისად დაისჯებიან. როგორც ამბობენ: "თავალი თვალის წილ! კბილი კბილის წილ!" — სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სწორედ იმგვარად უნდა გამოუწეროს ნაციონალურ მრავალმილიონიანი ჯარიმები, როგორც ამას ნაცებისაგან ივანიშვილსა და მის გუნდზე მიქსეული ნათია მოგვლადე აკეთებდა!

"არ მინდა მოვლენებს წინ გავეუსწრო, მაგრამ ნაციონალურების მართვის სტილი ამას უჩვენებს. მაგრამ, თუ ვინმე დააპირებს რაიმე მეთოდით არჩევნებზე ხელის შეშლას და კანონის დარღვევას, მთელი სიმკაცრით იქნებიან დასჯილი. მათ რომ ბევრი რაღაცის სურვილი აქვთ და ზოგადად, დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდით ცდილობენ ყველაფერი შავად წარმოაჩინონ, ეს ისედაც ცნობილია", — აღნიშნავს გიგა ბუკია.

ექსპერტი გია ხუხაშვილი კი ამბობს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ამოცანა არ არის არჩევნების მოგება.

"მათი ტაქტიკა გასაგებია. მე არ ვიცი რამდენად მოძებნიან ამ 15 ათას კაცს, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ მუშაობა იციან, არ არის გამოიცხადებული, რომ შესაძლო პოსტსაარჩევნო კრიზისის შემთხვევაში ეს 15 ათასი კაცი, 150 ათას კაცად გახადონ. "ნაციონალურმა მოძრაობის" წევრებმა იციან, რომ არჩევნებს ვერ მოიგებენ და საერთოდ, მათი ამოცანა არ არის არჩევნებს მოგება, მათი ამოცანაა "ქართული ოცნების" დაშლა, რათა მოხდეს შიდა საპარლამენტო გადართილება, ან პოსტსაარჩევნო კრიზისის შექმნა ქვეყანაში", — განაცხადა ხუხაშვილმა.

რა გასაკვირია, რომ ქართველებისადმი მუდამ მტრულად განწყობილმა სომხურმა დაშნაკურმა ძალამ კიდევ ერთხელ მოისურვოს საქართველოში სიტუაციის არევა?!

"ილორის" პოლიტიკური დიაჯესტი

პოეზიის კვანძები

მტკივნეული საშიშრალი

ბალადა მარადიულ გლადიატორზე კვლავაც კოშმარად ახსოვს ბაზალეთს, მშებს მშების მოკვლა რომ დააბაღეს და მკვდრებით ველარ აღდგა ლაზარე.

ზოგს მიანია დღეს სასალუქედ, ნილოსს რომ ნახავს, წყალს თუ ამუქებს სისხლი, რომელიც წასკდათ მამულუქებს!

იმ დროს არ ჰქონდა ჩვენს ხალხს სხვა ჩარა; ან სალდაფონად, ან იანჩარად თუ ვერ გაგვხდიდნენ, გვთლიდნენ ლაჩარად!

წლების წინ ძველმა უკვე დაგვტოვა, მაგრამ წასვლისას მაინც დაგვტოვა, და სხვას მიგვეცა გლადიატორად.

ხან მეფისნაცვლად, ხანაც ელჩებად, ჩვენს ცხოვრებაში სხვა კვლავ ეჩრება, გვაომებენ და გეთვლიან ლენჩებად

და დედა გლოვობს: — ამ ბნელ დამეში, შეილო, ნეტავი აღარ გამეშვი, არც აფრიკაში, არც ავღანეთში!

ვისმენ გოდებას, თუმცა არადა, არ მსურს, ეს ბოლო ჰქონდეს ბალადას, რომ, ვინძლო, ვიგრძნოთ აწ და მარადად, გერავინ გვაქცევს ცხვრების ფარადა! ალექსანდრე შინბელია

სამართალი და სემსი

დღეს სამართალია პური რომ ჭამოს, (ვიცი, მტკივნეულ საქმეს ვეხები), სააკაშვილმა ჭირი მომჭამოს, ბოკერიაძე კი ჩემი ფეხები. რა უნდა NATO-ს ამაზე მეტი, როცა მდიდარული სემსი გეჭონია, „აი ასეთი მწამს...“ პრეზიდენტი, მასთან სხვა ვინმე მონაგონია. ვერ დავიწუნებ ჩვენი ქალების თუნდ სილიკონით დაბერილ ტუჩებს, თუ მოეძალათ ტრფობის ქარები, რიგში ჩამწვრონ, ალაღად ვურჩევ. ვერც გრიგოლის ვტოვებ მარტოკა, ორმოცს გადავცდი, თითქოს გებრდები, მისჯილი მქონდეს გინდაც კატორღა, სანაცვლოდ შენთან ვერ შეგწერდები. თუმც რჩევა მინდა მოგცე ასეთი: ხმა დაუწივ, ფეხს აუწივ, თუ შემოაკლავს მგავსს სათესი, ყურში ჩასაძებ „...ხარო, გასწივ...“ გინდ იტაქსავე, გინდ ისექსავე, მე რად მიყვები ლოგინის ამბავს, არ ხარ ისეთი დაუვიწყარი, პატარა გოგო თვალებს რომ ნაბავს. ჰოდა იარე, ისე შენი გზით, იყავი შენი კუჭის მსახური, რაღას გაჭიკვი კიდეთ-კიდემდე, ვინ გაგიწია "ის" სამსახური.

Vite-პირველი

ბოლავ კონკას მიმოჭირინ

გოლაშ კონკას მივოჭირინ, გენოჯინ ქერქემეფს, ფაფალა დო გარამ მოჩქედ დო ჟინშე ერწემეფ. შორშე ჯიშთის თოლბეინდ დო, ვირვილარა ქერქენწეფს რომუს წყარგომალაფუ ონოფულედ ქერქენჯენდ! თოლუნჭაფუს ეთეათ იბგინ დო ონოფოთ, უჯცუშ რე ცაშ ჟინაფა დო ნჭაფა თიშ ნოთეს. თაქ ჩქიმ წოხოლე მოჩქედ თელ აკარქნიშ ნოთეს, მარა კონ ჩხონაფათ ოფეას მიდენს ონოთეს! მაღსახ ბრიბოლია

რას ნარკომაგანს თანამედროვე ენა, სინამდვილეში, და რა ინვესტიციები უნდა შეხვედრება სიბავშვის ავტორიტეტის დადგენისას

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ბოლოს, ერთი ასეთი მაგალითი: ქართულში გვაქვს ამგვარი გამოთქმები: ქვაზე ხის, ჭაში ხის, გამოქვაბულში ხის, სახლში ხის, კუთხეში ხის, ხის ტოტზე ხის და ა. შ. ესე იგი, ხის სტატეკური მონა და ყველაგან უცვლელი ფორმით არის წარმოდგენილი. მეგრულში კი, მისი შესატყვისია ფორმა ხე (ხის), მაგრამ, გვაქვს ასეთი ფორმები: გე-ხე (ხედ, მაგ., ქვაზე, ხის) ინო-ხე (შიგ ქვე დაბლით, მაგ., ჭაში, ხის), მითო-ხე (შიგ მიღმით, მაგ., გამოქვაბულში, ხის), მულა-ხე (შიგნით, მაგ., სახლში, ხის), კნო-ხე (კუთხეში ხის), გილა-ხე (გვერდით, გვერდულად, მაგ., ხის ტოტზე, ხის), და ასე შემდეგ, ვიდრე მეგრული ენის 92-ვე ზმნისწინის გამოყენებამდე. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როცა მოქმედებას ასრულებს საგანი (პირი), რომელსაც ახასიათებს ესა თუ ის ნიშან-თვისება, მაგალითად: „გვინჯდალი“ ტიპი, გვექნება ფორმები: მი-გვანჯდალი „გვინჯდალი“ ანუ დაბალი, ნია და ჩაფსკენილი ერთგვარი მირბის ან მიდის ჩქარა და ტანრხევითად მისივე იერსახით (გამომეტყველებით). გვანჯდალიანც, „გვინჯდალი“ ლაპარაკობს უშნოდ და უნიათოდ, გვანჯდალიც „გვინჯდალი“ ჭამს უშნოდ და უნიათოდ „ოგვინჯდალიანც“ „გვინჯდალი“ გამოიყურება მისივე იერსახით გამოემეტყველებით, მითი-გვინჯდალიანც „გვინჯდალი“ შიგ მიღმით, მაგალითად, გამოქვაბულში, იმყოფება მისივე იერსახით, და ა. შ. ამგვარ საფუძველზე, როგორც ხეშოთ ითქვას, გენჯდალი ძირისეულ თანხმობურ ფორმასზე დაძვარებით მეგრულში გვაქვს 1 275 908 სიტყვა, მაშინ, როდესაც ქართულში ასეთი ძირი, და მასთანადავ, სიტყვა საერთოდ არა გვაქვს.

ზემოაღნიშნული მაგალითების მიხედვით, განსაკუთრებით დიდნიშნულთაგანია და ხაზგასახელებიც, ის ფაქტი, რომ მეგრული ენის სიტყვები ადგილის ზმნისთვის ფორმის ზმნისწინის გამოყენების წყალობით, საგნის მოქმედების გამოხატვისას გვიჩვენებენ მოქმედების მიმართულებასაც და ადგილსაც, თანაც მისი ადწერით. მეტიც კიდევ: როცა მოქმედებს გარკვეული ნიშან-თვისების მქონე საგანი, იქვე განიხილება ეს ნიშან-თვისებაც, ანუ საგნის როგორადობაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრული სიტყვების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ადწერლობითი ხასიათისა და ისევე უარმობაგენ (ადწერენ, გვიხატავენ) საგნებს, როგორცადაც ისინი სინამდვილეში არიან წარმოდგენილი.

ამრიგად, მეგრული ენა, სიტყვების ადწერლობითი ხასიათისა და ლექსიკის განსაზღვრის, დიან ფანტასტიკური სიმდიდრის წყალობით, საგანთა უნივერსალურ სამყაროს ისე წარმოგვიდგენს, როგორცადაც იგი სინამდვილეში არსებობს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრული ენა წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს არა მხოლოდ და არა უბრალოდ ბევრწერით უკუფენას, არამედ ფერწერით უკუფენასაც.

მაშასადამე, მეგრული ენა, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედაბიჭაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა იმის სრულ საფუძველს, რომ თანამედროვე ენის რაობის მაქსიმალურად სრულად განსაზღვრისათვის, ანუ იმის ზედმიწევნით დადგენისათვის, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ენა, სინამდვილეში, საგნებით მიზანშეწონილია დავეყრდნობოთ თანამედროვე მეგრული ენის მონაცემებს. მაგრამ, სამისოდ საჭიროა კიდევ ერთი გარემოების გათვალისწინება. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც, კერძოდ, მორფოლოგიური ტიპოლოგიის მიხედვით, ენათმეცნიერების მიერ მსოფლიოს ენები დაყოფილია 4 ჯგუფად. ესენია: 1. ძირისეული ენები; 2. ფლექსიური ენები; 3. აგლუტინაციური ენები და 4. ინკორპორაციული ენები.

1. ძირისეული ენებს განეკუთვნებიან ჩინური, ვიეტნამური, ტიბეტური და სხვა ენები, რომელთათვისაც უცხოა აფიქსები, საერთოდ საგრამატიკო საშუალებები. მაგალითად, ჩინურში შეინიშნება მხოლოდ თანდებულების მსგავსი ელემენტები. ამით არის განაპირობებული ამ ენის ლექსიკის შედარებით ნაკლები სიმდიდრე.

2. აგლუტინაციური ენებს განეკუთვნება ქართულ-ქართველური, საერთოდ იბერიულ-კავკასიური, აგრეთვე თურქული, ფინურ-უნგრული და სხვა ენები, რომელთათვისაც დამახასიათებელია აფიქსების არსებობა. აფიქსები ამ ენების

სიტყვებში, მათ ძირვითან თითქოსდა მიწებებულია, მყარად არ არის დაკავშირებული და ადვილი გამოსაყოფია ძირისეული ფორმებიდან. სახელწოდებაც „აგლუტინაცია“ (ლათ. მიწებება), აქედანაა.

3. ტიპურ ფლექსიურ ენებს განეკუთვნებიან არაბული ენები. მათში შიგა ფლექსია (ხმოვანთმონაცვლეობა) ცვლის სიტყვის მნიშვნელობას (მაგალითები ქვემოთ).

4. ინკორპორაციული ანუ შთასხეულებითი ტიპოლოგიის ენებს განეკუთვნებიან ამერიკულ ინდიელთა ჩინუკ ენა, ესკიმოსური, ჩუქური და სხვა ენები (მაგ., ქვემოთ).

არსებობენ არა აბსოლუტურად ძირისეული, ან ფლექსიური და სხვა ენები არამედ, უპირატესად ძირისეული, ან ფლექსიური და სხვა ენები. ეს, ასევე ენება ქართულ-ქართველურ ენებს, რომლებიც უპირატესად აგლუტინაციურ ენებს წარმოადგენენ, მაგრამ სხვა ტიპოლოგიის ენების ნიშან-თვისებებსაც ატარებენ. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით გამოირჩევა ჩვენი გამოკვლევის ობიექტი – მეგრული ენა. შეიძლება ითქვას, რომ მეგრული ენა ერთ-ერთოვლად ძირისეული, ძირისეული-ფლექსიური, აგლუტინაციური და ინკორპორაციული ენაცაა, შემდეგი გარემოების გამო:

1. მეგრული ენა ძირისეული ენაცაა იმ მხრივ, რომ მასში სახეზეა 500-მდე ძირისეული თანხმობური ფორმა (მაგ.: გ, კ, ლ, ტ, შ, ც, ძ, წ, ჭ, დგ, კრ, კრკ, ჭრკ, ნხრტ, ჯდრჯდ) და სხვა) და ამითავე დამყარებული ანუ ამით აფიქსაცია-გრამატიზაციით არის მიღებული მეგრული ენის მთელი ლექსიკის თითქმის ერთი მესამედი ნაწილი. დანარჩენი ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილიც ანგვარ ფორმებზეა დამყარებული, მაგრამ ისინი ცალკე თანხმობურ სიტყვების სახით დღეისათვის უკვე არა გვაქვს.

2. მეგრული ენა ფლექსიური ენაცაა, იმ მხრივ, რომ მისი ძირისეული ორმარცვლიანი თანხმობური ფორმებისთვის დამახასიათებელია 5-ვე, 4, 3, ან 2 ხმოვით შიგაგახმოვანება, შიგაფლექსიის ანუ ხმოვანთმონაცვლეობის სახით, რითაც იცვლება ფორმათა მნიშვნელობაც (ასე, მაგალითად: ბუხ, მაგრამ: ბიხალი (მსხვილი და გაბერილი) ბეხურია (მოგრძო „ბიხალი“), ბოზურია (მოგრძო-მოფართე „ბიხალი“, ბუხურია, ბუხურა (ერთობ მრგვალი „ბიხალი“) ბახალი („ბიხალის“) ანუ მსხვილისა და გაბერილის სირბილი ან ჩქარი ტანრხევითი მოძრაობა) მისივე იერსახით; კარკალი (1. კაკანი; 2. რაკრაკი), კერკელი (გორვა), კირკელი (კრკელი, ჩრჩილი), კრკელი (კლაკენა, კლაკენა-გრეხვა) კურკული (კურკური და სხვა) შევადაროთ: არაბულში ხმოვანთა შიგამონაცვლეობით იცვლება ზმნის გვარი: მოქმედებითი და ვნებითი (მაგ.: კატალა (მოკლა), კუტილა (მოკვდა; დარაბა (დაკეტა), ღურობა (დაიკეტა) და სხვა. ამათი ძირებია: კტლ, დრბ.

3. მეგრული ენა ინკორპორაციული ენაცაა, იმ მხრივ, რომ მისი ლექსიკის ძალზე დიდი ნაწილი აიხსნება მხოლოდ მხოლოდ სხვა სიტყვის გამოყენებით, რითაც ისინი მთელ წინადადებას წარმოადგენენ. ასე, მაგალითად, სიტყვა მი-ბახალი ასე ითარგმნება: „ბიხალი“ ანუ ძალზე მსხვილი და გაბერილი (მეტყვალ მსუქანი) მირბის ან მიდის ჩქარა და ტანრხევითად მისივე იერსახით. შევადაროთ: ამერიკულ ინდიელთა ჩინუკ ენის სიტყვა ი-ნ-ი-ლ-უ-დ-ამ უდრის მთელ წინადადებას და აღნიშნავს: მე მოვედი იმისათვის, რომ ვნახო ის.

4. მეგრული ენა უპირატესად აგლუტინაციური ანუ აფიქსებიანი ენაა, შემდეგი გარემოების გამო: ამ ენის კოლონალური ლექსიკა (1410.145.686 სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ) ემყარება სულ რაღაც 6652 ძირისეულ თანხმობურ ფორმას ანუ მიღებულია ამით აფიქსაცია-გრამატიზაციით. სამისოდ მეგრულში გვაქვს 525 დერევატი (მნიშვნელობამცვლელი) საგრამატიკო საშუალება. აქედანაა: 76 პირველადი საწყისი ელემენტი სუფიქსი, 336 მეორეული (მესამეული და ა.

შ.) წარმოების სუფიქსი, 6 ინფიქსი, 10 პრეფიქსი, 92 ზმნისწინი და 3 ნაწილაკი. აი, ყოველივე ის, რაც ადგენს მეგრული ენის ფანტასტიკურ ლექსიკას, რაც თითქმის უტოლდება მსოფლიოს ყველა ენის (5445 ერთ.) ლექსიკას, ერთად აღებული.

ყოველივე ამის შემდეგ, დიახაც საგნებით შესაძლებელია და კანონზომიერიც, რომ მეგრული ენის მონაცემების მიხედვით (ცხადია, სხვა ენების მონაცემების გათვალისწინებითაც) გაიცეს ყველაზე სწორი და ამომწურავი პასუხი კითხვაზე: – რას წარმოადგენს თანამედროვე ენა, სინამდვილეში?

მკითხველისთვის რომ ნათელი იყოს: ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი გაცემული გვაქვს მთელი ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომებით, რომელთა საერთო რიცხვი 3600-ს აღემატება და მოცემულია 16 დიდ და 1 მცირე მონოგრაფიაში. მათ შორის არის, საშუალოდ 600-600-გვერდიანი დიდი ფორმატის: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული, 1 ოცტომეული და 1 მრავალტომეული (სავარაუდოდ, 25.000-ტომეული). ისინი, სწორედაც მეგრული ენის, მისი კოლოსალური ლექსიკის ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე ეძღვნება ენის წარმოშობის საფუძველს და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას.

ამ უკანასკნელად გამოცემულ ნაშრომში „პალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმონიღი სიახლეების შესახებ“ (თბ., 2015), ჩვენ, ცალკე გვაქვს წარმოდგენილი საკითხი დასათავსებით: „რას წარმოადგენს, სინამდვილეში, თანამედროვე ენა“ (გვ. 24) და გამოტანილი გვაქვს ასეთი დასკვნა: „თანამედროვე ენა წარმოადგენს თავდაპირველი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმობური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანხმლები ემფატიკური მარცვალწარმოქმნილი და დეტერმინანტი (იდეაგამსაზღვრებელი) ბგერის ფორმები უარმობაგენს სინამდვილედ იმპრობითი ნიშნათა სისტემას“.

ანალოგიური დასკვნა, პრაქტიკულად, წარმოდგენილი იყო ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 2007 წელს გამოცემულ შვიდტომეულ „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოშობა“ მეტიც კიდევ: ეს აზრი ნათლად იყო მოცემული (ოღონდ, არა ესოდენ სიზუსტით) ჩვენს ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომში: „ენის წარმოშობის საიდუმლოება“ (ზუგდიდი, 1997) და „სიტყვაწარმოშობა – ენის წარმოშობის საფუძველი“ (ზუგდიდი-სენაკი, 2003).

მაშ, რად დაგვჭირდა ამ საკითხის აქ წარმოდგენა და სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენასთან კავშირში მისი განხილვა? როგორც ხედავთ, თანამედროვე ენის რაობის ზემოაღნიშნულ შეფასებაში (განსაზღვრებაში) საგნებით ნათლად არის გაცემული პასუხი ამ სტატიის სათაურის პირველი ნაწილის კითხვაზე: – რას წარმოადგენს თანამედროვე ენა სინამდვილეში?; მაგრამ გასაცემია პასუხი იმავე სათაურის მეორე ნაწილის კითხვაზე: „რა იწვევს შეცდომებს სიტყვის ეტიმოლოგიის შესწავლისას“.

ასეთი დასათურების სტატიას, ამჯერად მკითხველს, რასაკვირველია, შემთხვევით არ ვთავაზობთ. სტატიის სათაური, ვფიქრობთ, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისათვის აუცილებელია თანამედროვე ენის რაობის ზემოაღნიშნული ცოდნა.

ეს ასედაც არის: თუ არ გვეკოდინება, რას წარმოადგენს სიტყვა, რა მასალისგან შედგება და როგორ წარმოიშვა იგი, ვერ დაგვადგენ სიტყვის ეტიმოლოგიას. ცხადია, სიტყვა (სიტყვები) მეტწილად მხოლოდ ფუძისაგან ან ძირისაგან როდი შედგება. იგი, ჩვეულებრივ, აფიქსირებულია (განსაკუთრებით, აგლუტინაციურ ენებში). ამიტომაც, არნ. ჩიქობავას და სხვათა სწავლებით, „სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისათვის აუცილებელია სიტყვის სწორად დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად“ და მათი წარმოშობის საფუძველების სწორად გააზრინება.

საქმე ის არის, რომ უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ადამიანთა ინტერესი სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენაზე, რაც, თავის მხრივ, მისასალმებელია. მაგრამ, სხვადასხვა მიზეზით, ადვილი აქვს სერიოზულ შეცდომებს, განსაკუთრებით, თვითნასწავლი მკვლევარების მხრივ.

დარგის არასპეციალისტების ანუ დილეტანტების მიერ (როგორც მათ ეძახიან), საუკუნეების მანძილზე მიღწეული აღმოჩენები რომ გამოეცხადებინათ, თანამედროვე განვითარებული მეცნიერების არსებობაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. თანამედროვე განვითარებულ მეცნიერებას სწორედ მაშინ დაელო საფუძველი, როცა არავითარი სამეცნიერო ტიტულები არ არსებობდა. თუმცა, სამეცნიერო ტიტულებიც კი მნიშვნელობას კარგავენ, როცა არავითარი სამეცნიერო ტიტულები არ არსებობდა. თუმცა, სამეცნიერო ტიტულებიც კი მნიშვნელობას კარგავენ, როცა არავითარი სამეცნიერო ტიტულები არ არსებობდა. თუმცა, სამეცნიერო ტიტულებიც კი მნიშვნელობას კარგავენ, როცა არავითარი სამეცნიერო ტიტულები არ არსებობდა.

ჩვენ, ადამიანები, ჩვეულებრივ, შეცდომებს ვუშვებთ ხოლმე. ეს ასე იყო, ასე არის და ასე იქნება მომავალშიც. ასე, მაგალითად: ადამიანი დასაბამიდანვე ხელავდა, რომ ყოველი დილით მზე ამდიოდა და საღამოთს ჩადიოდა, მაგრამ მან ძალიან გვიან გაიგო, რომ დედაბიჭა ერთ-ერთი ჩვეულებრივი კოსმოსური ციური სხეულია, რომელიც თავბრუსხვევით სისწრაფით მიქრის უკიდურეს სივრცეში და თანაც ბრუნავს საკუთარი (ცხადია, პირობითი) ღერძის გარშემო, ასევე ჩვენი მზის გარშემო, და ა. შ. დღესაც, ვინ არ ხელავს, რომ შემის, ქვანახშირის და სხვათა დაწვისას სინათლე და სითბო გამოიყოფა, მაგრამ ყველაზე როდი იცის, რომ ეს მზის ის სხივადი კინეტიკური ენერჯიაა, რომელიც ადრე შებოჭა მცენარემ ფოტოსინთეზის პროცესის შედეგად, და შემოინახა პოტენციური ენერჯიის სახით; რომ ამგვარ შეოპტიკ ენერჯიას ვიღებთ ჩვენ, ცხოველები, და მათ შორის ადამიანებიც, მცენარეული თუ ცხოველური საკვების სახით და რომ სწორედ მზის ეს ენერჯია წარმოადგენს ჩვენს სასიცოცხლო ენერჯიას, რაც გვაწვრინებს, გვახატვინებს, დოვლათს გვაქმნევინებს და ასე შემდეგ (რაოდენი სიბრძნე და უდიდესი ცოდნა ჩაქოვლილი ძველ კოლხურ (მეგრულ) ლექსში: „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა – მუაჩქიმი; ხინა-ხინა მურიცხევი – და დო ჯიმა ჩქიმი“. ეს, სხვათა შორის).

აი, რატომაც არის საჭირო ყოველივე ზემოაღნიშნულის და სხვათა ცოდნა, მეცნიერულად და მხოლოდ მეცნიერულად. აი, რატომ არის საჭირო ამის შესხენება ცალკეული თვითგამოცხადებული და, რა დასამალია, მეტისმეტად თვითდაჯერებული „მკვლევარებისა“ და „ენათმეცნიერებისათვის“, კერძოდ, „ეტიმოლოგიისტი-ბისათვის“, ვინაიდან მათი სამეცნიერო ნაღვავი, წარმოდგენილი სწავლების თუ საზოგადო-საუკუნოლო სტატიების სახით, სამწუხაროდ, ხშირად გადაცემულია, – ეფემერული რომ გამოვიყენოთ, – უზუსტობებით, თანაც გადაცემულია „უპირველესი ეტიმოლოგიისტი“ შეფასების მიკუთვნების დაუკლებელი სურვილით. „თვითგამოცხადებულს“ ჩვენ ვეძახით ავტორებს, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალისტების მიერ რეცენზირებული ნაშრომები და სხვათა ნაშრომებიდან აღებული ცალკეული ფასეული მონაცემები, – მათი მრავალნაირად ინტერპრეტირებული (ხშირად საშინლად დამახინჯებული) სახეცვლილებებით წარმოდგენით (ამ ხერხით, მათი მიჩემების მცდელობითაც, რაც ხოვითურებს წლების განმავლობაში დასწმედა) აწარმოებენ „კვლევა-ძიებას“ და ყოველად უსაფუძველო მისაზრებებს სთავაზობენ ხოლმე მკითხველებს. აღნიშნულის აქ ხაზგასმა, თანაც წინგამსწრებად (ანუ ვიდრე საკითხის დეტალურად ახსნამდე), საჭიროდ მიგვანია საგნებით კეთილი სურვილებით: იქნებ, ადრესატებს ამის შემდეგ, მაინც (რაკი ზოგჯერ გამოხატულ ცალკეულ მეტისმეტად ფრთხილ შენიშვნებსა და მინიშნებებს არად მიიჩნევენ) გაამახვილონ სათანადო ყურადღება საკითხის მიმართ და განთავისუფლდნენ საკუთარი მაცდუნებელი ხიბლის ტყვეობისაგან; და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, განთავისუფლონ მკითხველებიც არასწორი მონაცემების თავმობხვევისაგან. ეს სასარგებლო იქნება მათთვისაც და სხვებისთვისაც.

მამანტი ძაბაძე, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „აია“-ს საპატიო პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის პროფესორი

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა არაჩვეულებრივი ქალბატონი

მერი ჩაბუნავა-მსეშა

და თანაგრძობს განსვენებულის ოჯახს...

დიდი გულიტკივილით ვიუწყებთ, რომ გარდაიცვალა სამართლიანობისათვის მებრძოლი და გმირულად დაცემული გია და გონა ესებუების დედა, ქალბატონი მერი ჩაბუნავა-ესებუა და სამამარს ფუცხადებთ განსვენებულის ოჯახს. უფალმა გაანათლოს ამ დიდებული ადამიანის სული...

კანონიერი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო, ეროვნული გვარდიის ვეტერან მემარტო კავშირი



გოგი თოფაძე: "გენერალისიუს" ხიდაშელს იხდენი "საქმენი საბერიონი აქვს ჩაღანილი, რომლის საბუთებიც არსებობს, რომ არჩვენებაზე გაიქცევა საქართველოდან"



"მრეწველთა" პარტიის წინამძღოლი გოგი თოფაძე დიდი ძალისხმევით შემდეგ დავიყოლიე ინტერვიუზე, თუმცა ერთი პირობით: არაფერი შემიკითხოთ ე.წ. პირადი ცხოვრების ფარულ ჩანაწერებზე, მაგ სიბიძურეზე არ ვილაპარაკებო.

- ბატონო გოგი, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ თქვენ და ფრაქცია "მრეწველებს" გამარჯვებას რესპუბლიკელებზე.

- დიდი მადლობა, და აქვე აღვნიშნავ, რომ ამ, ქვეყნისთვის უაღრესად სასარგებლო საქმეში თქვენს რედაქციას მინიშნელოვანი წვლილი მიუძღვის. **"საქართველო და მსოფლიოს"** პუბლიკაციებმა ქალბატონი ხიდაშელის მიერ საგარეჯოში ჩადენილ "გმირობებზე" უძლიერესი პოლიტიკური ძვრები გამოიწვია, რასაც ერთ თვეში კოალიციის "შენობის" ჩამოშლა მოჰყვა; და სასიხარულოა, რომ მის "ნამსხვრევებში" პირველები რესპუბლიკელები მოყვნენ.

კოალიცია **"ქართული ოცნების"** დაშლის ინიციატივა **"მრეწველებიდან"** მოდის. ეს საკითხი პირველებმა ჩვენ დაგვიყენეთ და ბევრის რისხვაც დავიმსახურეთ.

- რა საჭირო იყო კოალიციის დაშლა?

- კოალიციაში ისეთი ადამიანები შევიკრიბნენ, რომლებსაც დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვთ მიუღრივ საკითხებზე, რომელთა გამოც ქვეყანა ვერ ვითარდება საჭირო მიმართულებით. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში კოალიციები იქმნება არჩევნების შემდეგ, რაღაც გარკვეული მოსაზრებებით. კოალიციაში შემივალთ აერთიანებს ერთ პოზიციაზე დგომა, ერთი პოლიტიკური ხედვა, არჩევნებამდე კი იქმნება საარჩევნო ბლოკი, ამიტომაც შევთავაზეთ კოალიციის დაშლა; მთლიან, ცალ-ცალკე ვიყაროთ კენჭი და გამოვინდებო, ვის აქვს ხალხის ნდობა და ვის - არა-თქო. ჩვენი მხრივ, ეს იყო სწორი

გადაწყვეტილება და, მადლობა დმეტრის, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

- კიდევ რა მიზეზი იყო, რომელმაც "მრეწველებს" გადაადგმევინა ასეთი თამაში ნაბიჯი?

- რესპუბლიკელების თავხედობამ. რესპუბლიკელებმა პრეტენზიებით აიკლეს **"ქართული ოცნება"**. პრივილეგიებს მოითხოვდნენ, ცდილობდნენ, თავიანთი ხალხი ყველგან დაეყენებინათ - მინისტრებზე, მაჟორიტარებზე, მიმდინარეობდა გაუთავებელი ვაჭრობა; და, რა თქმა უნდა, ჩვენ, ანუ კოალიციაში შემივალთ დანარჩენი პარტიები, შეურაცხყოფილი ვიყავით.

- ბატონო გოგი, კოალიციის დაშლის ინიციატივით თქვენ როდის გამოსხვედით - ქალბატონ ხიდაშელთან დაპირისპირების შემდეგ თუ მანამდე?

- ხიდაშელთან კონფრონტაციამდე გაცილებით ადრე.

- და მაინც, რატომ წაეჩხუბეთ თინა ხიდაშელს?

- ჩვენმა ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა არაერთხელ შეურაცხველი **"მრეწველები"** და, პირადად, მე, ჩვენ მშვენივრად ვიცით ე.წ. გუნდური თამაშის წესები და სამი წლის განმავლობაში, რაც ამ მოწვევის პარლამენტში ვართ, აუკადარიან მოგვისხეხებია, **"ნაციონალებიც"** კი, რომლებმაც თავიანთი მმართველობის, უფრო ზუსტად, პარპაშის პერიოდში, მატერიალურად დიდად მაზარაღეს. ქალბატონი თინას მორიგი ღვარძლიანი დამამცირებელი **"რეკლია"**: რა, თოფაძე ჯერ კიდევ პარლამენტშიაო, აღმოჩნდა ის ქვეითი, რომელმაც მოთმინების ფილა ამიგოს. მე, ბატონო ჩემო, ძველი ტრადიციების კაცი ვარ და მასხრად აგდებას, დირსების შეღახვას შეხსნაც არ ვაპირებ! და გავეცი კიდევ საკადრისი პასუხი.

- გულისხმობთ განცხადებას, რომლითაც ქალბატონი ხიდაშელი საგარეჯოს არჩევნების გაყვალბებაში დაადანაშაულებთ? მაგრამ პროკურატურამ რეკორდულად მოკლე დროში გამოიძია ეს ამბავი და თავდაცვის მინისტრის ქმედებაში, არათუ დანაშაული, პატარა დარღვევაც ვერ აღმოაჩინა?

- ვფიქრობ, პროკურატურაზე გარკვეულმა ძალამ, საგარეულოდ, უცხოურმა, იქონია ძლიერი გავლენა. დღესაც ვამტკიცებ, რომ საგარეჯოს არჩევნები ნატარდა უხეში დარღვევებით, რაც არაერთი ოფიციალური დოკუმენტით დავდასტურებ.

ჩემი განცხადების შემდეგ, გულისხმობ ხიდაშელის დადანაშაულებას არჩევნების გაყვალბებაში, რესპუბლიკელებმა, კერძოდ, მძებმა ბერძენიშვილებმა, და კიდევ თითო-ორიოლა ქალბატონმა, ატყვეს აურზაური, დაიწყეს ჩვენი ლანძღვა-გინება... ჯერ ერთი, რა აქვს ლევან ბერძენიშვილს ჩემზე სალაპარაკო? რა უნდა მოეკითხოს

იმ კაცს, რომელიც თავის სტუდენტებს ასწავლის, რომ ვაჟა-ფშაველა, გენიოსი კი არა, რევიონული დონის პოეტი, ხოლო ილია ჭავჭავაძე, ერის მამა კი არა, - **"დიდი არაფერი"** და ა.შ. მიკვირს, მისი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, როგორ ბუდავს ხმის ამოღებას. ჩვენ არ დაგვეწვიება, რომ ლევან ბერძენიშვილი იყო ერთგულ მოძრაობაში შეგზავნილი აგენტ-ი, მეტსახელად **"დელფინა"**. პოდა, ამ **"დელფინამ"** თავისდროზე **"ჩაუშვა"** თანამებრძოლები, მეგობრები და ამ ლაღატისთვის საპრობილიდან გამოუშვეს. მერე, როდესაც ჩემი საწინააღმდეგო ვერავითარი კომპრომატი ვერ გამოქვეყნა, სიმწრისგან თქვა: გოგი თოფაძესთან რა მკვს სალაპარაკო, საპნის ქარხნის დირექტორი იყო. ისე ამბობს, ვითომ საპნის ქარხანა პატარა ღუქანია. საქართველოში იყო ერთადერთი საპნის ქარხანა, რომელშიც 260 კაცი შრომობდა და პირველმა მე, ახალგაზრდა კაცმა, რუსეთში დავიციე დისერტაცია მაგ სპეციალობით, ჩამოვედი და დამნიშნეს ქარხნის დირექტორად. საქართველოში ჩვენ გამოუშვეთ პირველი შამპუნი, რომელიც საქსპორტოდ გადაიღო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და მასზე დიდი მოთხოვნა იყო. ვუშვებდით, აგრეთვე, სხვადასხვა საპნის. დიდი წარმოება გეკონდა, რომელიც დღეს დაანგრეს და, სამწუხაროდ, ამის გამო იძულებული ვართ, გამოვიყენოთ იმპორტული საქონელი, ხშირად - ცუდი ხარისხის...

საინტერესოა, ლევან ბერძენიშვილს თავის ცხოვრებაში რა აქვს კარგი გაკეთებული, გარდა ბინძური პასკვილებისა ყველაფერ ქართულზე? ან მისმა ძმამ დაუთმო, რომელიც 60 წლის ხდება, ვინმე თუ იცის, რა გააკეთა ქვეყნისთვის კარგი, გარდა გაუთავებელი პროვოკაციებისა და წივილი-კივილისა - ჩვენ ვართ ყველაზე ერუდირებული პოლიტიკური ძალა? 1999 წელს, როდესაც სააკაშვილი **"მოქალაქეთა კავშირის"** გენერალური მდივანი იყო, მერე კი, 2004 წელს, პრეზიდენტი, ხომ წიოდა, - ერთპარტიული პარლამენტი მინდაო; ჩვენ კი, **"მრეწველები"**, პარლამენტში მაინც გავედით, იმიტომ, რომ ხალხს ჩვენი სჯეროდა, აი, რესპუბლიკელები დამოუკიდებლად როდის მოხვდნენ პარლამენტში? 2004 წელს ამოჰყვეს იქ თავი, როდესაც **"ნაციონალისტებს"** შეეკრნენ და ნაცებმა გაათრეს, შემდეგ კი, როდესაც მშველელად ბიძინა ივანიშვილი გამოსწდა, მიგარდნენ და უთხრეს, პირველები ვართ პოლიტიკაშიო. ახლა, კოალიციის დაშლისთანავე, განაცხადეს, **"ქართული ოცნების"** სტრატეგიულ პარტნიორად ვრჩებითო. ზღაპარია ეს. მომავალ არჩევნებზე გამოსწდა, რა **"სტრატეგიული პარტნიორები"** არიან და როგორ

"უყვარს" ხალხს რესპუბლიკელები. ხალხს სურს, რომ შევინახოთ ჩვენი ქვეყანა თავისი ტრადიციებით, ადათ-წესით, ისტორიით, კულტურით, რესპუბლიკელებში კი იმდენი ანტიქართულია, რომ, რაც უნდა დაეხმარონ მათ უცხოელი ელჩები, დააფინანსონ **"მეგობარმა ქვეყნებმა"**, მაინც არაფერი ეშველება! ან, ავიღოთ, თუნდაც, ნატოში გაწევრების თემა. გვეუბნებიან გასაგებად, არ გიღებთ ნატოში, მაგრამ ქალბატონი თავდაცვის მინისტრი მილიონობით ადამიანს ატყუებს, - მივიღებებო. ჯეიმს აბატურაიმ განგვიცხადა, არ გიღებთ თქვენგან უსაფრთხოების გამო, მაგრამ, ჩვენში დარჩეს, რაში ენადლეება დასავლეთს საქართველოს უსაფრთხოება?! უბრალოდ, იმ ხუთმა თვემ, რომელთა განმავლობაშიც რუსეთმა იომა სირიაში და სამაჩხულო აუწყა მსოფლიოს, ისევე დავებრუნე ზესახელმწიფოს სტატუსი, ყირაზე დააყენა გეოპოლიტიკა, ე.წ. ერთპოლუსიანი სამყარო მოკვდა. და იმის მაგივრად, ჭკუას ვუხმით, დავედეთ და რუსებს მოველაპარაკოთ, ხიდაშელი ჯიუტობს და გაჰკვირს: **"ნატოლო"**. ნეტავ, რამის გამკეთებელი იყო!

- ბატონო გოგი, დღეს, როდესაც კოალიცია "ქართული ოცნება" დაიშალა, მიზანშეწონილია ქალბატონი ხიდაშელის დარჩენა თავდაცვის მინისტრად? იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკური პარტია საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს, ხომ შეუძლია ამ "ჯიუტ ქალს", ჯარი გამოიყვანოს და მოაწყოს სახელმწიფო გადატრიალება?

- არაფერი არ არის გამორიცხული! ისე, თინათინ ხიდაშელი ყველაზე სამარცხეინო თავდაცვის მინისტრია და, რაც უფრო მალე დატოვებს ამ თანამდებობას, მით უკეთესი. თუმცა, არ მგონია, რომ მან შეძლოს ჯარის ქუნაში გამოყვანა. **"გენერალისიუს"** ხიდაშელს იმდენი **"საქმენი საგმირონი"** აქვს ჩადენილი, რომლის საბუთებიც არსებობს, რომ არჩვენებამდე გაიქცევა საქართველოდან.

- მომავალ არჩვენებამდე დარჩენილ პერიოდში რას აპირებთ "მრეწველები"?

- იცით, ამომრჩეველი ხშირად ინაგრება.

- რას გულისხმობთ?

- დეპუტატობის კანდიდატი ჰპირდება ბევრს, მაგრამ, პარლამენტში რომ მოხვდება, ამომრჩეველს ივიწყებს. ამომრჩეველს კი არანაირი ბერკეტი არ აქვს, დეპუტატი აიძულოს, დაპირებები შეასრულოს, ამიტომ ვფიქრობთ, შევიშუშაოთ კანონი, რომლის ძალით ამომრჩეველები შეძლებენ, გამოიწვიონ პარლამენტიდან უდირსი მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც არაფერს აკეთებს, მაგრამ დიდ ჯამაგირს იღებს.

ესაუბრა ბიორბი კორბაძემ, გაზეთი "სამართალი და მსოფლიო"

გოგინე ჰაიშვილი: "ერთ დღეს სახლში ფოსტალიონი მომადგა და პრემია მომიტანა - ერთი მანქანის ფული".

კობა ზვიზვიანი: "ვერაფრით ვიღებდი დაღონებულ იერს. ამის გამო მართლად დაგლონდი. სწორედ ამ მომენტით ისარგებლა რეჟისორმა".

1973 წელს ევრანებზე გამოვიდა გურამ პატარაიას ფილმი **"რეკორდი"**. ცნობილ რეჟისორს მისი გადაღების იდეა ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის მოთხოვნის წაკითხვის შემდეგ დაჰბადებია, თუმცა სცენარში ჩაპეკისგან მხოლოდ ქვა დარჩა, სიუჟეტი კი სამეგრელოში ჯოტია ცაავასა და მშვენიერი შოუს სიყვარულის ფონზე განვითარდა... კურნალისტი ხუტა უფროსის როლის შემსრულებელ გოგინე ჭეიშვილსა და ჯოტია ცაავას განმსახიერებელ კობა ღვინიაშვილს გაესაუბრა.

გოგინე ჰაიშვილი: მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გახდით, როდესაც გურამ პატარაიამ სცენარი გადმოცა, ღინტუს როლს გაეცანით. როლი ძალიან მომეწონა. კახი გასაძებს ხუტა უფროსი უნდა განესახიერებინა. შემიკერეს ღინტუს ფორმა და თვე-ნახევრის შემდეგ მარტვილში (მაშინდელი გეგეჭკორი) გავემზება-

ერთ გადასაღებად. გადაღების წინ კახის რაღაც პრობლემა შეექმნა და უარი თქვა მონაწილეობაზე... ვდგავარ მარტვილის ცენტრში მილიციელის ფორმაში გამოწყობილი და ამ დროს რეჟისორის თანაშემწე ლია გოგელია მობრბის: გურამ, როგორც იქნა, თიპოვეთ. რომ მომიახლოვდა, ცერკითი ასწია, აი, ასეთი ღინტუ გვეყოლებოდა. გაოცდულმა პირდაპირ ვუთხარი, ა ბატონო, ჩემი ფორმა ჩაიბარეთ, მე წავედით-მეთქი. სად მიდიხარო, გაიკვირვეს. ღინტუ გიპოვით და მე რაღა მინდა-მეთქი? თურმე ვინ ვიშვებს, ახლავე ააძვრეთ მის ფორმას სამხრეები და ხუტა უფროსის დააკერეთო. მოკლე, მომიმატეს წოდება და გაეხდა ხუტა უფროსი, ჯუმბერ ჟვანია კი, ღინტუს სიმართლე უნდა ვთქვა - შევარდნაძე რომ არა, ეს ფილმი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

- რას გულისხმობთ?

- ფილმის გადაღება 1972 წელს დასრულდა, თუმცა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა კონსტანტინე კუთილაძემ დაიწუნა - რა გინდათ ამით თქვათ, რომ ასეთი უფიცი მთელი გვეყავსო და ფილმი თაროზე შემოიდო. ეს ამბავი შევარდნაძის ყურამდე მივიდა... ის ფილმის შინაარსით დაინტერესდა, ნახა და მალევე **"რეკორდი"** შუა აზიაში სატელევიზიო ფილმების მექსევე საკაუშირო ფესტივალზე გაუშვეს, საიდანაც პრიზით დაბრუნდა. ერთ დღესაც სახლში ფოსტალიონი მომადგა და პრემია მომიტანა. იმდენად დაუჯერებელი იყო ეს ამბავი, რომ მთელი თვე არ ვართმევედი ფოსტალიონის ფულს, რაღაც შეცდომა რომ იყოს, მე ამ თანხის უკან მომიტანა აღარ ვარ-მეთქი.

- დიდი თანხა იყო?

- ერთი მანქანის ფული... მას

რეკორდი

შემდეგ 40 წელზე მეტი გავიდა, მალე 76 წლის გავხდები. 1992 წელს ტრავმა მივიღე და ლოგინად ჩავვარდი, 101 კგ ჩავეჭი და 37 კგ ავდექი, მაინც მოვერთე ავად-მყოფობას, ჯინიანი ჭეიშვილი ვარ.

კობა ზვიზვიანი: - ფილმის გადაღების დროს 26 წლის ვიყავი. მაშინ გადაღები ჯაუფის წევრად ვმუშაობდი. ერთ დღესაც გურამ პატარაიამ შემომთავაზა ჯოტია ცაავას როლი. ვიყარე, სკოლის წარმოდგენებშიც კი არ მიმიღია მონაწილეობა, ამ საქმისგან შორს ვარ-მეთქი, მაგრამ მაინც დამიყოლია.

კამერასთან მუშაობა მაინცდამაინც არ გამჭირვებია... ყველაზე მეტად იმ სცენის გადაღება გამჭირდა, რომელშიც კომისიის წინაშე ვამყარებ რეკორდს. ხუტა უფროსი მეძახის: **"ესროლე, ესროლე, მე შენ გელაპარაკები!"** მე ვისვრი, ჩემი გასროლილი ქვა წყალში ადენს ტყავანს და ვრჩები დაღონებული. მე ხომ პროფესიონალი მსახიობი არა ვარ. ვერაფრით ვიღებდი დაღონებულ იერს. ამის გამო მართლად დაგლონდი. სწორედ ამ მომენტით ისარგებლა რეჟისორმა.

გადასაღებ მოვალხე რომ მიმიყვანეს, გოგინე და ჯუმბერაც უკვე მილიციის ფორმაში იყვნენ. მე მართლად მილიციელები მეგონენ. ისინი როდის მოსარგებლად ხშირად დადიოდნენ მოტოციკლით. ერთ დღესაც საწვავი გამოლევიათ. რას იზამდნენ, დამდგარან შუა გზაზე, ბედად ხე-ტყით დატვირთულ სატვირთო მანქანას ჩამოუვლია. გაუჩერებიათ. მძღოლი ნერვიულობისაგან გათიერებული ჩამოსულა. ჯუმბერი კი უცნია, მაგრამ რა იცოდა, რაში იყო საქმე. ჩუმად უკითხავს: რამდენი ხანია, რაც ეს ფორმა ჩაიცვით? იმასაც არ დაუშალავს, 2 თვეაო. მძღოლს ჯიბიდან კონვერტში ჩალაგებული ფული ამოუღია და ჯიბეში უდებს თურმე ჯუმბერს - ქრთამს აძლევდა, ეგონა, საცხხო საქმეზე წასწრეს. ჯუმბერს უთქ-

ვამს, ეგ კონვერტი რად მინდა, თუ შეგიძლია ცოტა საწვავი ჩამისხიო. როცა სიტუაციაში გაერკვია ის მძღოლი, მოგაკითხა და მთელი გადაღები ჯაუფო დაგეპარტა საქეიფოდ. ფილმის სცენარის მიხედვით მე შოუსთვის უნდა მეკონცა. შოუს საქმრო ჰყავდა. დედამისი გაგიტა, რას ჰქვია ჯოტია უნდა აკოცოსო, და იმდენი ქნა, სანამ სცენარი არ შეაცვლევინა გურამ პატარაიას.

რეკორდში დამყარებული რეკორდის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში კინო აღარ ყოფილა. დავოჯახდი, მყავს მეუღლე და ერთი შვილი. უკვე მეორე ათეული წელია ტელევიზიის მომრავი საქველევითი საღვურის ბრიგადის წევრი ვარ. სამსახურში 3 კობა ვართ, პოდა, მე ჯოტიას მეძახიან, დანარჩენებში რომ არ ავერიო.

მეა სალადაია





მორიბი ფარსი ხელისუფლებისგან, ანუ საქართველოს ელადური „მეტასტაზები“ უახლოვდება!



ხმაურისა და აჟიოტაჟის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის 80 დეპუტატის ხელმოწერით პარლამენტში ინიცირებულ იქნა საკონსტიტუციო ცვლილება, რომელმაც უნდა განსაზღვროს, რომ ქორწინება ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით ერთობა!

ბრავო ხელისუფლებას, რომელმაც ხალხის ხმას ყური უგდო და პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილება „შეაგდო“! ერთი შეხედვით სწორედ ასე ჩანს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

ვიდრე ფრხხილებს ბოლომდე გავხსნიდეთ, ორივე სიტყვით ყურადღებას გავამახვილებ იმ მოხვედრებში აქტიურობაზე, რასაც კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა ჰქვია.

უკვე რიხიანად გვაუწყებს, რომ განხილვები საქართველოს ყველა რეგიონში და დიდ ქალაქებში მოეწევა – დასახლებული კონკრეტული თარიღებით!

წესით და კანონით, ქრისტიანულ სახელმწიფოში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ოჯახი ეს არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით ერთობა. ამდენად, ეს ფორმულირება დამატებით „სანქციებს“ არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბუნებრივი როლები შეიცვალოს და სოლიდისეული ცოდვები, ძალით თუ ჩვენივე პასიური ხელშეწყობით, დაგვიკანონონ!

რაც არ უნდა მწარედ მოსასმენად გვეჩვენოს, პირდაპირ ვიტყვი: ე.წ. „საყოველთაო-სახალხო“ განხილვა, თუ იგი საკონსტიტუციო ცვლილების სახეს არ მიიღებს?

ოველთაო განხილვა“ სხვა არაფერია, თუ არა ფარსი და საზოგადოების ყურადღების მოდუნება, რომლის საბოლოო მიზანი ხელისუფლების მხრიდან დროის გაყვანის ტაქტიკაა!

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რამდენიმე თვეში საპარლამენტო არჩევნები გველოდება, ამ ინიციატივით ხელისუფლება ცდილობს საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი ნაწილის (აბა ლიბერალები სულ იმის ცდაში არიან, დაანქარონ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება) მხარდაჭერა მოიპოვოს! სამწუხაროდ, „ხბოს აღტაცების“ სინდრომით დაავადებულებს გვაიწვევება, რომ ეს ყველაფერი მოხვედრებითი „კომპრომისი“ ხელისუფლების მხრიდან, რადგან, ჯერ ერთი, არჩევნებამდე დარჩენილ დროში, საკონსტიტუციო ცვლილებების არათუ მიღება, არამედ, პროექტის პირველი მოსმენით გატანაც გაჭირდება.

რომც მოეწეოს, ხელისუფლებას არ ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ნიშნდობლივია ისიც, რომ თვით კოალიციის შიგნით უმრავლესობის ინიციატივას (ხელი მოეწერათ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებაზე) მხარი „რესპუბლიკელებმა“ არ დაუჭირეს!

ადვილი წარმოსადგენია, რომ ისინი მითუმეტეს მხარს არ დაუჭირენ საკანონმდებლო ინიციატივას პლენარულ სხდომაზე კენჭისყრისას...

მაშ, რას ვუპირობებ? რა აზრი აქვს „საყოველთაო სახალხო“ განხილვას, თუ იგი საკონსტიტუციო ცვლილების სახეს არ მიიღებს?

ვიტყვი ხაზგასმით: თვალში ნაცრის შეყრა იმის მტკიცება, რომ მთავარია ჩვენი ნება დავაფიქსიროთ – დღევანდელ პარლამენტში ამაზე დისკუსია დაიწყოს და ცვლილებებს მომავალი პარლამენტი „დაავირობებინებს“!

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად არ მჯერა ასეთი ზღაპრებისა – ჯერ ერთი, მომავალი პარლამენტი დღევანდელზე

უკეთესი (ეროვნულ მუხტს და სახელმწიფოებრივ ხედვას ვგულისხმობ) ნამდვილად არ იქნება. მეორეც, ე.წ. „საყოველთაო-სახალხო“ განხილვა ნამდვილად არ გამოდგება ქართველი ერის ნების გამოხატვის საშუალებად...

დაიხ, ეს არ იქნება მყარი არგუმენტი იმის სადემონსტრაციოდ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა!

აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლობის მტრებს ხელში ექნებათ კოხირი, რომლითაც ისინი ზერეულდ დაწყებულ ომს მოგვიგებენ – განხილვა, ეს იგივე შერჩევითი გამოკითხვაა (რამდენიმე ქალაქსა და რაიონში ტარდება) რომელსაც მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს!!! სხვა საკითხია პლემბიტის (საყოველთაო გამოკითხვა), რომელიც სრულყოფილად ადასტურებს ერის ნებაყოფლობას ამა თუ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენის (პრობლემის) მიმართ!

სამწუხაროდ, ამაზე მინიშნებაც არ ყოფილა საზოგადოების მხრიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ან რეალურად არ ვაფასებთ უცხო ძალების მხრიდან თავსმოხვეულ მხაკერულ პოლიტიკას, ან საკუთარი უფლება-მოვალეობის განცდამაც გვიმტკუნა!

ადრე ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: ნამდვილ მტერზე არანაკლები მტერია ის, ვინც საზოგადოებას ატყუებს და არარეალური დაპირებებით ჯანსაღი პერსპექტივის (სამართლიანობის დამკვიდრების, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის) ილუზიას უქმნის.

ასე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც – ჯერ იყო და გვირგვინებდნენ, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების განხილვა დაჩქარებული წესით დაიწყებოდა და პრობლემა არ იარსებებდა. ცოტა მოგვიანებით კი გვიმტკიცებდნენ: პარლამენტში არ იქნება განხილვა...

მენტარებს აიძულებდნენ ასე მოქცეულიყვნენ, ხოლო, დღეს უდიდეს მონაპოვრად გვითვლიან აღნიშნულ საკითხზე „საყოველთაო-სახალხო“ განხილვის დაწყებას!

ასე რომ, ყველაფერს მართლმადიდებლობის დაუძინებელ მტრებს და მათ დაკრულზე მოხტუნავე ქართველ ლიბერასტებს ნუ დავაბრალებთ... არც ხელისუფლებისკენ გავიშვიროთ ხელი – ცოტა საკუთარ გულშიც ჩავიხედოთ და ვაღიაროთ, რომ ჯანსაღ საქართველოში გვიინდა ცხოვრება, მაგრამ ხელის და ტვინის განძრევა არ გვიინდა!

P.S. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ წინასწარჩვენო „კომპრომისი“, ანუ საყოველთაო-სახალხო განხილვა კიდევ ერთი ფარსი მგონია, რომელიც ხელისუფლებას კარგ სამსახურს გაუწყვეს (ამომრჩეველთა მხარდაჭერას მოუპოვებს), მაგრამ საზოგადოებას გაწვილებულს და პირში ჩაღაგამოვლებულს დატოვებს. ღმერთმა ქნას ვცდებოდეთ!

P.S.P.S. საგანგაშო სიგნალი მოდის საბერძნეთიდან – ძველი ელადიდან, რომელიც ერთ დროს მართლმადიდებლობის აკენად (მექად) ითვლებოდა და რამდენიმე თვის წინ სოლომიზაციის გზას დაადგა – ბერძენებმა სული ამქვეყნიურ (თანაც დროებით) სიამოვნებაზე დაახურდავეს და ევრო-ამერიკის დაჟინებული მოთხოვნით ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონეს. ადგილობრივი მღვდელმსახურები უკვე დიად საუბრობენ ამ სოლომი-გომორული ცოდვის უმძიმეს შედეგებზე – სკოლების წმინდა კუთხეებიდან და ეკლესიებიდან ხატების გატანის მოთხოვნა ისმის – მუსულმანი ღვთაებები თუ არაღვთაებები თურმე ხატებს წვავენ და ხელებს ითბობენ. ადგილობრივ ტელევიზიებში საინფორმაციო გადაცემები არაბულ ენაზე გადაიცემა. ეს მხოლოდ დასაწყისია...

ვიფიხილოთ!

ზაურ ნაჭყვიაძე

“ქართველს თუ დაინახავ, სათოფეზე უნდა გაერიდო”



ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით ქართველ აუდიოლოგ, აკადემიკოს ზურაბ ქვეციანიშვილზე, რომელმაც გერმანიაში სწავლითა და შრომით გაიკაფა გზა დიდ მსოფლიო მეცნიერებაში და რომლითაც დღეს ამაყობენ გერმანელები. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან სხვა ქართველებიც, რომლებიც არად დაგიღვევენ ერის ღირსებას და თავიანთი კრიმინალური საქმიანობით ჩრდილს აყენებენ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს!

გერმანიაში კანონს სპეციალურად სწორედ უუღმარაო ქართველების საწინააღმდეგოდ იღებენ;

ბოლო თვეების განმავლობაში გერმანული პრესა და ტელევიზია პერმანენტულად აშუქებს დანაშაულის ფაქტებს, რომელშიც ძირითადად ქართველები მონაწილეობენ. ყანალობა, ჯგუფური ქურდობა, ძარცვა... – საკმაოდ გრძელია მათი „გმირთების“ ჩამონათვალი.

და ქურდობაში არიან ეჭვმიტანილები. რამდენიმე დღის წინ, გერმანიის ერთ-ერთმა რეიტინგულმა ტელეარხმა „ARD“-მა ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებას, რომელიც გერმანიის ქალაქებში სხვადასხვა სახის დანაშაულს ჩადის. მედიის ცნობით, ბავარიის ქალაქ ერლანგენში მცხოვრები პენსიონერი ცოლ-ქმარი ქართველი დამნაშავეების მსხვერპლი გახდა.

დაზარალებული ცოლ-ქმრის თქმით, მათი სახლი იმ დროს გაძარცვეს, როცა მოხუცი პენსიონერი შინ არ იმყოფებოდა. როგორც ისინი ამბობენ, ქურდებმა თანხა და ძვირფასეულობა წაიღეს, მთლიანობაში 10.000 ევროს ოდენობის. პოლიციის განცხადებით, მძარცველები იმ საათით იპოვეს, რომელიც ქართველების მანქანაში აღმოაჩინეს.

თომას ვერნერი, კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი: „დაახლოებით ხუთი წლის წინ, წელიწადში 600 ბინას ძარცვავდნენ, ამჟამად ეს რიცხვი თითქმის გაორმაგებულია. რამდენიმე თვის წინ გერმანიის მთელი ტერიტორია დააკავებს დაჯგუფება, რომლის წევრებიც თავს ლტოლვილებად ასაღებდნენ და ლტოლვილის სტატუსის მიღებამდე პერიოდს ბინის გასატყუებლად იყენებდნენ. ისინი ძირითადად მამაკაცები არიან. ქართველები აქ რომ ჩამოდიან, აკეთებენ განაცხადს ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე. საბუთების განხილვა გრძელდება 9 თვე, ვიდრე გადაწყდება მინიჭონ თუ არა ამა თუ იმ პიროვნებას ლტოლვილის სტატუსი. ქართველების უმეტესობა სწორედ ამ 9 თვით სარგებლობს და ქურდობას იწყებს. შემოსული განცხადებებიდან ლტოლვილის სტატუსის მიაბეჭდვით მხოლოდ 0,3% პროცენტი იღებს დადებით პასუხს“.

საგრძობლად გაზარდა. 2014 წელს ქართული კრიმინალური დაჯგუფებების მიერ გერმანიის ეკონომიკისთვის მიყენებულმა ზარალმა 370 მილიონი ევრო შეადგინა. 2014 წელს 2013 წელთან შედარებით გაორმაგებულია ქართველ ბრალდებულთა მაჩვენებელი და 4.000 პიროვნებას შეადგენს. ისინი ორგანიზებული დანაშაულის წევრები არიან, რომელთა ისტორიაც სტალინის დროიდან იღებს სათავეს. ქართული ბანდის ხელში ჩაგდება საკმაოდ რთულია. ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს 9-თვიანი პერიოდის შემცირება და ლტოლვილის სტატუსის ეკოტის მიღე შემცირება. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოდან ლტოლვილების მიღება შეჩერდება. ამ საქციელით დამნაშავეები არა მარტო გერმანიის მოქალაქეებს აზიანებენ არამედ უპირველესად მათ, ვისთვისაც ლტოლვილის სტატუსის მიღება სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია“.

გახეთ „კერის პალიტრის“ ჟურნალისტი გერმანიაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს ესაუბრა:

ბიორბი მორჩილაძე: „უკვე წელიწადნახევარია გერმანიაში ვსწავლობ. ქართველებზე ძალიან ბევრი უარყოფითი ინფორმაცია ვრცელდება, მაგალითად ის, რომ ქართველმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ სახლი გატყუა, ვიღაც მოკლა და ა.შ. სამწუხაროდ, ეს უკვე მასობრივ სახეს იღებს. გერმანული ტელევიზიები თითქმის ყოველ კვირა ამაზღვრებენ სიუჟეტს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია პირდაპირ ქართველებზე და არა სხვა რომელიმე ეროვნების წარმომადგენლებზე. რამდენიმე დღის წინ, სამედიცინო სამსახურში, სადაც საბუთებს იძლევიან, შემხვდა ქართული ოჯახი, ახლგაზარდა ბიჭი იყო ცოლიდან და 3 შვილიდან ერთად. გაბრაზებული იყო, რადგან ლტოლვილის სტატუსზე უარი უთხრეს და უწყეს გერმანიის დატოვება, ეს კრიმინალები ყველაზე მეტად ისევ ქართველებს აზარალებენ“.

ერთ-ერთმა სტუდენტმა ანონიმურობის დაცვა გთხოვა, შესაბამისად, არ ვამხელთ მის ვინაობას.

“სტუდენტი ვარ და ჩვენც გვექმნება სერიოზული პრობლემები. პირდაპირ მინიშნებას არ აკეთებენ, რომ ქართველები ვართ და ა.შ. მაგრამ როდესაც საემიგრაციო განყოფილებაში ვიზის მისაღებად ან გასაგრძელებლად შევიდვართ, იქ გვიქმნიან „ქალაქის“ ბარიერებს. ანუ ითხოვენ საბუთების დაუსრულებელ ჩამონათვალს და ყველა დეტალს უდრმაგებებენ, ეს განსაკუთრებით ქართველ მამაკაცებს ესება.

პრობლემა ექმნებათ ლტოლვილის სტატუსის მიაბეჭდვასაც, რომლებიც ან პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ ან სამედიცინო მიზნით არიან ჩამოსულნი.

ერთ ამბავს მოგიყვებით, რაც ჩემ ნაცნობ გოგოს შემთხვევა. ტანსაცმლის ერთ-ერთ მაღაზიაში შემთხვევით გაიგო ქართული ლაპარაკი, მივიდა და გამოეკატარაკა, აღმოჩნდა, რომ ბიჭები ქართველები იყვნენ. გამოემხრონ და წამოვიდა. მოგვიანებით კი, ამ ბიჭებმა სწორედ იმ მაღაზიაში მოიპარეს ტანსაცმელი, თუმცა კამერებმა დააფიქსირეს და გასასვლელში პოლიციამ დაიჭირა. გამოძიების პერიოდში კამერებიდან ეს გოგოც მოძებნეს, დანაშაულის არ შეტყობინებისთვის ბრალი წაუყენეს და 300 ევროთი დააჯარიმეს. ახლა პირად საქმეში უწყრია, რომ დანაშაული ჩაიდინა, მხოლოდ იმიტომ, რომ თანამემამულეებს გამოეკატარაკა. სამწუხაროდ, ვერ დამტკიცა, რომ ეს ბიჭები პირველად ნახა და მათი გეგმების შესახებ არაფერი იცოდა. ისე გამოდის, ქართველს თუ დაინახავ, სათოფეზე უნდა გაერიდო“.

გერმანული მედიის ინფორმაციით, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი მუშაობს კანონზე, რომლის თანახმადაც, ლტოლვილთა და მიგრაციის სამინისტრომ, ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად საბუთების განხილვის 9-თვიანი ვადა მაქსიმალურად შეამციროს. კანონი სპეციალურად ქართველებისთვის შემუშავდება და მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაუშვებს.

თეა ბეჟიტაშვილი

დაკარბული საფლავების სია – ქურადლებით წაიკითხეთ! შუსაქლოა, ამ სიაში თქვენი წინაპრის ბგარ-სახელი ამოიკითხოთ!



...**“ლევილის ყველა საფლავის ქვის აღწერა მოვახერხე. გიგუშა ერისთავის და მერი შერვაშიძის განსასვენებელი არსად ჩანდა. ვეძებე და სენ-ჟენევივის სასაფლაოზე მივაგავნი. ქვას აწერია: “რუსეთის დედოფლის სეფექალი”...**

ემიგრაციაში წამოსულს, საკუთარი თავისთვის ამ გაქცევის “დალატი” რომ მეპატიებინა, ჩემს თავს ვუთხარი, რომ ყოველი დღე ამერიკაშიც საქართველოთი ვიცხოვრებდი”, – მეუბნება 36 წლის ქუთაისელი მანუჩარ კაჭახიძე, რომელიც მენჯიმტევე წელია, სამშობლოდან შორს ცხოვრობს. 13 წელია, ამერიკაში გამოსცემს ერთადერთ ქართულ ჟურნალს “მამული”, იკვლევს ქართული ემიგრაციის ისტორიას, ეძებს და პოულობს ქართველთა დაკარგულ საძვალეებს. მანუჩარი მოზრდილ ყუთს მამულებს: – აი, ამ ყუთში მაქვს მოთავსებული ჩემი ცხოვრების ჩვიდმეტი წელი, ის უზარმაზარი მასალა, რომელიც ამერიკაში მცხოვრები ქართველების, წინა თაობის ემიგრანტების შესახებ მოვაგროვე. ყველა საკითხი კვლევას, ოფიციალურ ორგანოებთან ხანგრძლივ მიმწვერავს საჭიროებდა. ამ ყუთში მოქცეულ ამბებს წიგნად გამოვცემ. აქ არ იქნება დოკუმენტურად დაუდასტურებელი არც ერთი სიტყვა.

“ძალიან რთული იყო აკაცი შანიძის ძმის – მოსე შანიძის საფლავის პოვნა. რადგან შეცვლილი გვარი ჰქონდა. ქვას აწერია: “მოსე შანიძე-ვალტონი”

ქართველები ამერიკაში შეძლებულად რომ არ ცხოვრობდნენ, ამას ისიც მოწმობს, რომ აგარაკის ასაკებზე შეიძინეს მიწის ნაკვეთი (“ალავერდი” დაარქვეს) მხოლოდ 50-დოლარაიანი წლიური საწვრთვებით და სიმწირით ახერხებდნენ ყოველწლიური გადასახადის გადახდას. წიგნზე მუშაობისას დავიწყე ერისთავების საგვარეულოს შესწავლა. ნიუ-იორკში “ალავერდი” დააფუძნა სვიმონ (სიკო) სიდამონ-ერისთავამ, მისი ვაჟი, კონსტანტინე, 1970-იან წლებში ნიუ-იორკის მერის მოადგილე გახლდათ, წვეულებებზე ქართული ჩოხით დადიოდა ხოლმე.

მუშაობისას მერი შერვაშიძის მეუღლის, გიგუშა ერისთავის გვარსაც წავაწყდი და საფრანგეთში ერისთავების საფლავების ძებნა დავიწყე. მერი შერვაშიძის შესახებ ჩვენ რევაზ თაბუკაშვილის ფილმით შევიტყვეთ. მან სიცოცხლეში ინახულა გალაკტიონის მუხა... ვიცოდი, რომ მერი ლევილში იყო დაკრძალული, თუმცა, მისი საფლავი არასოდეს მენახა. ძებნისას ლევილის ყველა საფლავის ქვის აღწერა მოვახერხე. გიგუშა ერისთავისა და მერი შერვაშიძის განსასვენებელი კი არსად ჩანდა. ბოლოს სენ-ჟენევივის სასაფლაოზე მივაგავნი. ქვას აწერია: “რუსეთის დედოფლის სეფექალი”.

პოლიგუფში დაკრძალული ქართველები

პოლიგუფის სასაფლაოზე განისვენებენ: ნესტორ ერისთავი (არაერთ კინოსურათში თამაშობდა) და მისი მეუღლე ანა, ცნობილი ბალერინა და მსახიობი თამარ თუმანიშვილი, რომელიც გრეგორი პეტოან ერთად უამრავ ფილმშია გადაღებული. იქვეა დაკრძალული პოლიგუფის ცნობილი მსახიობი სილვია ემლი-ჯორჯაძე, თავად დიმიტრი ჯორჯაძის მეუღლე, რომლის საფლავის ძიება მიმდინარეობს.

ქართველი, რომელიც ამერიკის 6 პრეზიდენტს იცავდა

ლოს-ანჯელესში, პოლიგუფის სასაფლაო გარდა, კიდევ არის ცნობილი სასაფლაო. იქ, ღირსეულთა სექციაში, დაკრძალულია ფერფლი ლევან გოპაძისა. ეს სექცია დახურულია და მხოლოდ “ოქროს გასაღებით” შეიძლება შესვლა. გასაღები კი ჰქონდათ მხოლოდ ოჯახის

წევრებს. სხვა მსურველებს სექციაში შესასვლელად სპეციალური ნებართვა ესაჭიროებოდათ, რომელიც მათთვის უნდა მიეცა სექციის კურატორს. ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ პენტაგონი ანიჭებდა სექციის “ოქროს გასაღებით” გახსნის უფლებას.

მოკლედ, ნებართვა მივიღე და დავიწყე მოკვლევა, ვინ იყო და რატომ ხვდა იქ დაკრძალვის პატივი ლევან გოპაძეს... ვიპოვე მისი შვილი, ამერიკაში კომუნიკაციების უზარმაზარი კომპანიის პრეზიდენტი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. აღმოჩნდა, რომ ლევან გოპაძე ამერიკის საიდუმლო დაცვის სამსახურში დიდი თანამდებობის პირი გახლდათ. კერძოდ, იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტებს ახლდა საზღვარგარეთ – ის ამერიკის 6 პრეზიდენტის სიცოცხლეს იცავდა.

პოლიგუფში, სტუდია “პარამუნთში” გადაღებული ფილმი “ყველაფერი შეიძლება მოხდეს” გაცნობიერებდა, რომელიც ქართველი მწერლის, გიორგი პაპაშვილისა და მისი მეუღლის, პეკუნ უეიტის ბესტსელერის მიხედვით არის გადაღებული. ეს ფილმი ქართველ ემიგრანტებსა და იქ ნახსენები ყველა გვარ-სახელის ადამიანი მართლაც მოღვაწეობდა ემიგრაციაში. გამოყენებულია ქართული სიმღერები, ცეკვები... ხედმიწვევით არის მოხმობილი ფაქტებიც და დავრწმუნდი, ამ ფილმით ავტორი ემიგრაციის ისტორიას გვინახავდა. ერთ-ერთი გმირი ამბობს, ნიუ-იორკში, მან-ჰეტენზე, 58-ე ქუჩაზე, რესტორანში ქართველი მზარეული მუშაობსო. იქ მართლაც აღმოჩნდა ქართული რესტორანი. აგრეთვე ნამდვილი აღმოჩნდა ფილმის კადრებში წამით გაღებულ მენიუც, ხოლო მომღიბარი კაცი – მისი მეპატრონე გრიგოლ კორძია, სან-ფრანცისკოში ქართული რესტორნის “ვაზბეგის” მეპატრონე. რესტორნის შენობა რამდენიმე კვირის წინ ვინახულე და გრიგოლ კორძიას უწარწერო სამარჯვაც მივაკვლიე...

პენსილვანიაში, გიორგი პაპაშვილის საფლავის ქვას ქვედა კუთხეში ქართულად აწერია ინიციალები: “გ.პ.” მინდოდა გამეგო, ვისი ხელი ერია ამ საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საათობით მისაუბრია ტელეფონით ბოცო კორიშელთან (მუსიკოსი, მხატვარი და მოქანდაკე ვახტანგ კორიშელი, რომელიც 1950 წლიდან აშშ-ში გადასახლდა. მეტსახელი “ბოცო” საქართველოში გატარებული ბავშვობიდან შემორჩა), ეს არასოდეს მიკითხავს... გიორგი პაპაშვილის საფლავის ქვის გარდა, სან-ფრანცისკოში დაკრძალულ გალაკტიონ ნიკოლაძის საფლავის ქვაზეც ბოცო კორიშელს მიუწერია ქართულად.

ახლა მე უნდა ჩავიდე მორაბეუში, რომ ბოცოს საფლავის ქვასაც ქართულად დავაწერო (ბოცო კორიშელი 93 წლის ასაკში გარდაიცვალა და კალიფორნიის პატარა ქალაქ მორაბეუშია დაკრძალული)...

ასევე, დიდხანს ვეძებდი აკაცი შანიძის ძმის – მოსე შანიძის საფლავს. იგი მეცნიერი გახლდათ, სახელმწიფო სამართლის პირველი სპეციალისტი საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1920 წელს ბერლინში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნეს. ფრანკურების ქიმიის ინსტიტუტს ამთავრებდა, როცა საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ. მოსე სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ემიგრაციაში ყოფნის დროს, 1928 წელს, იგი უკანასკნელად შეხვდა ძმას – აკაცი შანიძეს.

აკაცი შანიძის ქალიშვილმა, მზექალა შანიძემ მიაბზო – მამამ სთხოვა ძმას, დაბრუნდი, ქართულ უნივერსიტეტს სჭირდებო. მოსეს უთქვამს: მე სახელმწიფო სამართლის სპეციალისტი ვარ და იმ სახელმწიფოს, რომელსაც თქვენ აშენებთ, სახელმწიფო სამართალი არც აქვს და არც სჭირდებაო... რთული იყო მისი საფლავის მოძებნა, რადგან შეცვლილი გვარი ჰქონდა. ქვას აწერია: “მოსე შანიძე-ვალტონი”.

სია დაკარბული ქართველებისა მახსოვს წლების წინ ნანახი ერთი ფრანგული ფილმი, რომელიც საინტერესო კადრით იშლება – ხელავ შავ, პატარა-პატარა წერტილებს, რომლებიც შენკენ მოდიან და დიდდებიან. როცა მოგიახლოვდებიან, უცბად ერთ ადგილზე

იყინებიან. როგორი დიდი რეჟისორი უნდა იყო, რომ ასე გადმოსცე სიმართლე. აქ, ემიგრაციაში, შეგხვედრივარ გიორგი მორალიშვილს, ნიკო თოფურიას, გივი ფორაქიშვილს, ვალიკო ძამიას, მამია ზაქრადეს... ამ “დიდ წერტილებს”. ერთმა მათგანმა მიაბზო თავისი მწარე ტყვეობის ამბავი. როგორ ჩამოვიდა ამერიკაში 1950 წელს და მხოლოდ 38 წლის შემდეგ შექმლო მსოფიანი დედისთვის მიეწვინა ხმა.

ყურადღებით წაიკითხეთ! შესაძლოა, ამ სიაში თქვენი წინაპრის გვარ-სახელი ამოიკითხოთ!

მანუჩარ კაჭახიძემ მოგვაწოდა იმ ქართველების სია, რომელთა საფლავებიც მან 17 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მოიძია. ამ სიაში ამოიკითხავთ როგორც მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველების, ისე 1921 წელს ემიგრაციაში წასულების გვარ-სახელებს.

- მოსე შანიძე
- ზურაბ გამყრელიძე
- ალექსანდრე ქართველიშვილი
- მალხაზ შალიკაშვილი
- ალექსანდრე მდივანი
- გრიგოლ კობახიძე
- ანზორ კობიაშვილი
- ბარბარა ალჩიბაია
- გრიგოლ ალჩიბაია
- გივი გაბლიანი
- რაფიელ თვალავაძე
- ვლადიმერ ხვედელიძე
- ვახტანგ საყვარელიძე
- ილზე ბართელმი
- თავადი მიხეილ მდივანი
- თავადი დავით მდივანი
- თავადი ზაქარია მდივანი
- თავადი სერგი მდივანი
- თავადი სიმონ მდივანი
- დავით ჩხატარაიშვილი
- ქეთევან ჩხატარაიშვილი
- ნიკოლოზ თოდრია
- ელეონორა თოდრია
- ელისაბედ ზაღდასტანიშვილი
- ოთარ ზაღდასტანიშვილი
- მარტო ზაღდასტანიშვილი
- თავადი დავით ჭავჭავაძე
- მწერალი პავლე ჭავჭავაძე
- ნინო რომანოვა-ჭავჭავაძე
- ივლითი ჭავჭავაძე
- თამარა მიქელაძე
- ალექსანდრე მიქელაძე
- კაპიტანი ვლადიმერ მიქელაძე
- ალბერტ მიქელაძე
- მარიამ ნიკოლაძე
- გალაკტიონ ნიკოლაძე
- გლაფირა ნიკოლაძე
- გიორგი ნიკოლაძე
- სევეტიანა შანიძე
- თევდორე გაბელია
- პავლე გაბელია
- ალფრედ გიორგაძე
- ამბერკი გიორგაძე
- ნინო ლორთქიფანიძე
- ალექსანდრე ლორთქიფანიძე
- ვლადიმერ ლორთქიფანიძე
- გიორგი ლორთქიფანიძე
- გიორგი მორალიშვილი
- თავადი ლევან დადიანი
- თავადი დავით (უჩა) დადიანი
- თავადი გიორგი დადიანი
- მარი ერისთავი
- ნესტორ ერისთავი
- ანნა ერისთავი
- ჯუმბერ შათირიშვილი
- ისმაილ აბაშიძე
- მარიამ აბაშიძე
- დავით აბაშიძე
- ქრისტინა აბაშიძე
- ნიკოლოზ ქვარიაი
- გიორგი პაპაშვილი
- თავადი გიორგი მაჩაბელი
- პრ-სა თამარა გრუზინსკაია-ისლაინა
- გიორგი ბალანჩივაძე
- თავადი ნიკოლოზ ამილახვარი
- თავადი ალექსანდრე ამილახვარი
- ლევან გოპაძე
- ილარიონ გოპაძე
- გრიგოლ კორძია
- ნინა ჩხარტიშვილი
- არკადი იმნაძე
- რუთი იმნაძე
- გიორგი სიდამონიძე
- მირა სიდამონიძე

- ვეგენი სიდამონიძე
- ნადეჟდა სიდამონიძე
- კონსტანტინე სიდამონიძე
- დავით ბებიაშვილი
- როზალა ბებიაშვილი
- მარია ლაღანიძე
- თავადი ნიკოლოზ დიასამიძე
- თავადი ნიკოლოზ ჩხვარია
- ნიკოლოზ ჯაფარიძე
- ელზა ბარელიძე
- მარდან წერეთელი
- სოლომონ პატარაია
- ალექსანდრე ცომაია
- ვანო საზუაშვილი
- ნოე წილოსანი
- ილიკო გელაძე
- დავით მამულაშვილი
- ალექსანდრე ლალიაშვილი
- ნესტორ ლომთაძე
- გიორგი მგალობლიშვილი
- ნიკოლოზ ჯიშკარიანი
- ანა კიკნაძე
- ნესტორ ცეცხლაძე
- ნელი მაისურაძე
- იოსებ მაისურაძე
- თამარა მტრეველი
- ბექორ ზევანია
- ალექსანდრე სამსონია
- ნიკოლოზ მეღვინეოვი
- ალექსანდრე პაპუაშვილი
- შოთა დუმბაძე
- მილიცა დუმბაძე
- გიორგი დუმბაძე
- ამელია დუმბაძე
- ალექსანდრე მგალობლიშვილი
- ვანო ნანუაშვილი
- ლეონიდე ხაინდრავა
- ირაკლი ხოსიტაშვილი
- ომარ ცუცხვაშვილი
- ლეო მალანია
- გიორგი ტიჭინაძე
- რუსუდან აბაშიძე
- შაქრო ცერცვაძე
- იულია ავალიანი
- გიორგი ლოლობერიძე
- გიორგი კიტიაშვილი
- ერთაოზ რამიშვილი
- გივი ფორაქიშვილი
- ვერა გრუზინსკაია
- სერგი გრუზინსკი
- ზინა ინჯია
- შალვა ხახუტოვი
- გრიგოლ დიასამიძე
- ლიზა სოსულია
- ანა, ილიკო მამაცაშვილები
- ირინა ჭავჭავაძე
- თამარა კვინიხიძე
- ალექსანდრე ტარსაიძე
- ვლადიმერ ერისთავი
- ელენე დიასამიძე
- გიორგი ვანნაძე
- მიხეილ საყვარელიძე
- თეიმურაზ ბაგრატიონი
- ირინა ბაგრატიონი
- ვანო ახმეტელი
- ელენე ახმეტელი
- ანა თვალავაძე
- ანტონინა მახარაძე
- როდამ ბაგრატიონი
- ვალენტინა ხიდაშვილი
- ელენე ხიდოშვილი
- კარლო შატერაშვილი
- ანა გრუზინსკაია
- ილია კოლხიდაშვილი
- მარია პარასტაშვილი
- ფელიქს ცერცვაძე
- ვლადიმერ ბაბიაშვილი
- ნადეჟდა ინასარიძე
- გიორგი ქაშუბა
- სერგო გაბუნია
- თავადი გიორგი იმერეტინსკი
- გიორგი ბოჭორიშვილი
- ალექსანდრე დუიშვილი
- რუსიკო ბურჭულაძე
- თეიმურაზ გაფრინდაშვილი
- თინა ბიბილაშვილი
- ავთანდილ ბიბილაშვილი
- ნანი ჭურაძე
- ინეზა სახვაძე
- მაიკო კობიაშვილი
- პავლე ავალიშვილი
- მანანა გაბრიჭიძე

მოდილიანის “ფეხვალი”



იტალიელი მხატვრის ამადეო მოდილიანის ხსოვნა მის უცნაურ მეტსახელში მოდი (ფრ. maudit – “დაწვეული”) შემოინახა, რომელიც ერთდროულიც კინობით-მოფერებითიცაა და წინასწარმეტყველურიც. ყველაფერი, რაც მოდილიანის წილად ხვდა თავისი ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ, მას ცხოვრებაში აკლდა: წარმატება, დიდება, კრიტიკოსების ქება... ვეცდებით, მოვეყვო მხატვრის ისტორია, რომლის ბიოგრაფიის ბოლო ფურცელი ნაადრევმა და ტრაგიკულმა გარდაცვალებამ დაასრულა.

ამადეო მოდილიანი დაიბადა იტალიის ქალაქ ლივორნოში 1884 წელს. სახლზე, სადაც ის დაიბადა და რომელიც მოდილიანების საგვარეულოს ეკუთვნოდა, დღეს მემორიალური დაფა ჰკიდია.

ამადეო მოდილიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედამისმა ევგენიამ გარსენამ. ის ისხენებს – შვილმა პირველად 14 წლის ასაკში გამოთქვა სურვილი, გამხდარიყო მხატვარი, თანაც ისეთ სიტუაციაში, როცა სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა, – ტიფით გამოწვეული ციფ-ციფლების მძიმე შეტევების დროს “მოულოდნელად ბოდაში გამოხატა ხატვის ქვეცნობიერი სურვილი. მას ამ მომენტამდე არასდროს უთქვამს ამის შესახებ, რადგან, ალბათ აუხდენელ ოცნებად ეჩვენებოდა”.

მძიმე დაავადება გახდა შესანიშნავი მხატვრული ნიჭის გაღვივების ბიძგი. როგორც კი ევგენია შეიღეს შეჰპირდა ხატვის მასწავლებლის დაქირავებას მომჯობინების შემდეგ, საოცარი იყო, რომ ავადმყოფმა მაშინვე სწრაფად მომჯობინება დაიწყო. “ის დაკავებულია მხოლოდ ფერწერით. თანაც არაჩვეულებრივი ჟინით, რაც მე მაკვირებს და აღმაფრთოვანებს მისი მასწავლებელი მეტად კმაყოფილია” – წერდა ევგენია რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც შვილმა ფერწერის გაკვეთილების სწავლა დაიწყო.

17 წლის ასაკში ამადეო ჩაეწერა ფლორენციის “შიშველი ნატურის ხატვის თავისუფალ აკადემიაში”. იმ ეპოქის კეთილგანმზრახველ ობიექტულებს აკადემია ზარმაცებისა და უსაქმურების თავშესაფრად ეჩვენებოდათ, მაგრამ მომავალ მხატვარს ნაკლებად ადარდებდა სხვების აზრი.

კიდევ 1 წლის შემდეგ მოდი ვენეციაში გაემგზავრა, სადაც აგრძელებდა ფერწერის შესწავლას. აქ მან გაიცნო ჩილიელი მხატვარი მანუელ ორტის დე სარატე, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მისი ერთგულ მეგობრად დარჩა.

მანუელი ვენეციაში ჩასვლამდე დიდხანს ცხოვრობდა პარიზში. სწორედ მან უამბო ამადეოს საფრანგეთის დედაქალაქის საცდელთა შესახებ, იქაური საზოგადოების გასაოცარ თავისუფლებაზე, მონმარტრის ატმოსფეროზე, ახალ მხატვრულ მიმდინარეობებზე, ქუჩების დახვეწილ გრაციაზე, კაფეების სიმყუდროვესა და პარიზული ყოფის ილუზორულ სიმსუბუქეზე.

1906 წლის იანვრის ერთ ცივ დღეს ამადეო მოდილიანი პარიზში გაემგზავრა. ეს მგზავრობა მისთვის წინააღმდეგობრივი გამოდგა: ერთი მხრივ, სურვილის ასრულების ტკბილი მომენტი, ხოლო მეორეს მხრივ – წარსულთან გაშორების გამო განიერი მსხვერვის შეგრძობა.

მოდი შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულად, ენა მას დედამ ჯერ კიდევ ბავშვობაში ასწავლა. ის ელევანტურად იყო ჩაცმული, შესაძლოა ცოტა გაბღენილადაც, რაც აშკარა დისონანსს ქმნიდა მხატვრის სახეობასთან. ამადეო გააჩერა ფაქტონი, ბარგი ჩატვირთა და მეტლეს პარიზის ცენტრში მდებარე სასტუმროში მიყვანა მითითვით. პირველ ხანებში მას კარგად მორგებული მდიდრული შავი

კოსტიუმი ეცვა, თეთრი პერანგითა და პალსტუხით. მის მორთულობას ასრულებდა სასეირნო ხელჯოხი, რომელიც გამუდმებით ხელს უშლიდა. მოდილიანი ხელჯოხს მოუხერხებლად იყენებდა ან იდლის ქვეშ დაჰკრია.

პარიზში ყოფნის პირველი ორი კვირის განმავლობაში მოდილიანი გამუდმებით იცვლიდა სასტუმროებს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა (რაც, როგორც ჩანს, ღრმა შფოთვის ნიშანი იყო), სანამ საბოლოოდ მხატვართა თავშეყრის ცნობილ ადგილას, – მონმარტრის ბორცვზე არ დაემკვიდრა. ბორცვზე, რომელიც დაფარული იყო მწვანე ბოსტნებით თუ ვენახებით და ასევე ნაცრისფერი ბარაკებითა თუ ქარის წისქვილებით, სოფლური ცხოვრების წესი მეფობდა.

თუ სამართლიანია მტკიცება – “მხოლოდ ის ფულია შენი, რომელსაც ხარჯავ”, მაშინ მოდილიანი სიღატაკეშიც კი “მდიდარი” გახლდათ. ის დაუყოვნებლივ ქარს ატანდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა. ასეთი უაზრო ფლანგვა გახდა მთარული ხმების საფუძველი მისი სიმდიდრის შესახებ, მაგრამ ეს ჭორები მალევე გაქარწყლდა – აღმოჩნდა, რომ სავარაუდო “ქონება” დედამისის მომცრო დანახოვები იყო.

მაშინდელ დროში მანმარტრზე თითქმის ყველა მხატვარი, ჩვეულებრივ, სიღატაკეში ცხოვრობდა. ისინი მისდევდნენ არეული და ქაოსური ცხოვრების წესს, მაგრამ ამადეო მათ ფონზეც კი გამოირჩეოდა. ის მუდმივად ხვდებოდა უსიამოვნებებსა და აურზაურში, მისი ფიგურა კი სიცოცხლეშივე შეიმოსა ლეგენდების შარავანდლით. პარიზული ცხოვრების რამდენიმე თვის მანძილზე მოდილიანი მოკრძალებული ჭბუკიდან იქცა მონმარტრის ყველაზე სახელგანთქმულ ლოთად.

მაგალითად, ჰყვებოდნენ ერთ საღამოს როგორ მივიდა მთვრალი მოდილიანი კაბარეში “ცეკვიტი კურდღელი” (იმ დროის არტისტული ბოჰემის შეყრის საყვარელ ადგილზე) და საერთო ჩხუბის პროვოცირება მოახდინა, რა დროსაც ჭურჭელი დაიმსხვრა. ამ მომენტიდან დაწესებულების პატრონი მოდის ზღვრულს მიღმა ფეხს აღარ ადგმევინებდა.

ამადეო მოდილიანის სმის მანერა ყოველგვარ რიტუალს უარყოფდა. სვამდა ანჭარებით, დიდი ყლუკებით, მიღებულის სასმელისგან ყოველგვარის სიამოვნების მიღების გარეშე. მოკლე ხანში მიეჩვია აბსენტის სმას. ჩანს, ალკოჰოლი ეხმარებოდა მხატვარს გადაეღობა თანდაყოლილი მორცხვობა, რის დაფარვასაც ბახუსის ქვეშ მყოფი ამადეო ადვირასხნილი თავხედის ნიღბით ცდილობდა.

ორმხრივმა ლტოლვამ ალკოჰოლისკენ და ერთობლივმა სმამ ხელი შეუწყო ამადეო მოდილიანისა და ნაცნობი მხატვრის მორის უტრილოს დაახლოებას. “სამწუხარო იყო მათი ყურება, როცა რაღაც გაურკვეველი წონასწორობის მდგომარეობაში იყვნენ გადახვეული – ერთი ძლიერ იდგა ფეხზე, მეორეც მალევე აპირებდა წაქცევას”, – ისხენებდა მხატვრობის კრიტიკოსი ანდრე ვარნო. პიკასომ კი მეგობრების დანახვისას ერთხელ მშრალად თქვა – “უტრილოს გვერდით მოდილიანი უკვე მთვრალია”.

1907 წელს ამადეო მოდილიანი შეხვდა თავის პირველ ნამდიდრ მეცენატს პოლ ალექსანდრს – ახალგაზრდა ექიმს, რომელიც მასზე მხოლოდ 3 წლით უფროსი იყო. პოლმა აგრძობინა მხატვარს, რომ აფასებდა მის ნიჭს, ამშვიდებდა მას, უმსუქებდა უარყოფით შედეგებს, რაც ხშირად მოსდევდა მოდილიანის უგვანო საქციელს, ძალიან დაეხმარა იმით, რომ მხატვარს მის განკარგულებაში გადასცა მუშაობისთვის საჭირო სათავსი, ყიდულობდა მის ნახატებსა და ტილოებს, აწარმოებდა მოლაპარაკებებს მენატრულ ქალებთან.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად შეიცვალა ცხოვრება პარიზში, ბევრი მხატვარი საყოველთაო მობილიზაციაში მოჰყვა. ამადეო მოდილიანის, რომელმაც საკუთარი თავის სოციალისტად და ომის მოწინააღმდეგედ გამოაცხადა, ძალიან სურდა ფრონტზე მოხვედრილიყო, თუმცა სამხედრო ექიმმა დაიწუნა – უარი უთხრა მის ცნობაზე სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად სუსტი ჯანმრთელობის გამო. მოდილიანის იტალიური სიამაყე შეიბღვდა,

რასაც მისთვის ჩვეული წესით უპასუხა – უფრო მეტი ალკოჰოლისა და პაშიშის მოხმარება დაიწყო.

მოდილიანის ესმოდა, რომ გრძობა, რომელსაც ის აღამიანებში ყველაზე ხშირად აღძრავდა საუკეთესო შემთხვევაში თანაგრძობა იყო, უარესში კი – გაუცხოება და მიუღებლობა, თუმცა ვერაფრით ერეოდა საკუთარ თავს. გარშემოყოფნი უკვე ისე მიეჩვენებენ მის როგორც ლოთის გარეგნობას, – რომელიც ძლიერ იდგა ფეხზე და მზად იყო გაეცვალა თავისი სურათები ჭიქა ღვინოზე (საოცარია მისი მსგავსება ფიროსმანთან, როგორც ხატვის მანერით, ასევე ცხოვრების წესითაც. ყველაზე დიდი საოცრება კი ის არის, რომ ამ ორ ბუმბერაზს შემოქმედს წარმოადგენდაც კი არ გააჩნდა ერთმანეთის არსებობაზე, რომ ამადეო სწორედ ასე იქცეოდა, რის დემონსტრაციასაც ფსიქოლოგები “მოსალოდნელ ქცევას” უწოდებენ.

1917 წლის თებერვალში მოდილიანი შეხვდა ჟანა ებიუტერს – ქალს, რომელმაც ხანმოკლე დროით მისი ბუდი გაიზიარა და ბოლომდე მასთან დარჩა. მხატვარი შეხვედრისას 33 წლის იყო, ჟანა 19-ის.

ჟანასა და ამადეოს ურთიერთობას გარკვეულ შეუქს ჰყვნს თანამედროვეთა მოლოვნებები: “ის ნაბახუსევი სკამზე ზის, არ იცის რა ქნას, საით წავიდეს. მონმარტრის ბუღვარის მხრიდან ჩნდება ჟანა, პალტო აცვია და ხელში თბილი შარფი უჭირავს. შეშფოთებული გაიხედ-გამოიხედებს და ბოლოს და ბოლოს ამჩნევს მას. ამადეოს გვერდით უჯდება და ყელზე შარფი შემოახვია – მას ხომ ხეგლა და მალალი სიცხე აქვს. მოდი ჩუმად, მას მხრებზე ეხვევა და ისინი დიდხანს უსიტყვეოდ და უძრავად რჩებიან ასეთ მდგომარეობაში ერთმანეთს მიკრულნი. შემდეგ, ასევე გადახვეულები სახლში ერთად მიდიან...”

ლეოპოლდ ზბოროვსკი, რომელიც იმ მომენტში მოდილიანის მეცენატი იყო, მეტად კმაყოფილი გახლდათ მოდის ცხოვრებაში ჟანას გამოჩენით, რადგან იმედოვნებდა, რომ ის მოდიზე დადებით გავლენას მოახდენდა, აიძულებდა გაფრთხილებოდა ჯანმრთელობას და უარს ათქვამდა დამღუპველ ჩვევებზე, თუმცა ეს იმედებები ამაო აღმოჩნდა.

1917 წლის გვიან შემოდგომაზე პრესტიჟული გალერეის დიასახლისმა ბერტა ვაილმა განაცხადა, რომ ორგანიზაციას გაუწევდა მოდილიანის პირველ პერსონალურ გამოფენას. დამსწრეთა მოზიდვის მიზნით ლეოპოლდ ზბოროვსკიმ ვიტრინაში რამდენიმე ნიუ გამოფინა, რამაც მისი იერი ეფექტი იქონია, რომელმაც მეცენატის ყველაზე თამამ მოლოდინებს გადააჭარბა. ვიტრინასთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ისმობდა აღშფოთებული წამოახილები, ვიღაცამ უკბილო ხუმრობებით დაიწყო ნანახის კომენტირება.

გალერეა, სადაც ეწყობოდა მოდილიანის პირველი პერსონალური გამოფენა, მეტად უიღბლოდ იყო განლაგებული პოლიციის განყოფილებაში – დაწყებულმა აურზაურმა კომისიის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც თანამშრომლები გაგზავნა ამბის გასარკვევად. ამ რეიდის შედეგი კი ის გახდა, რომ გალერეის დიასახლისს უბრძანეს გამოეფენა დაუყოვნებლივ დაეხურა.

მოდილიანის სიცოცხლეში ამ პირველმა და უკანანკელმა გამოფენამ მინც ითამაშა კეთილი როლი. სკანდალი, რომელიც მისი დახურვისას ატყდა, ფართოდ გახდა ცნობილი მთელი პარიზისთვის, მხატვრის სახელი ყველას პირზე ეკერა. ომის წლებში ხელოვნებისთვის ბევრს არავის ეცადა, თუმცა ასეთმა უნებურმა რეკლამამ თავისი საქმე გააკეთა – მოდილიანის სურათების ყიდვა დაიწყო.

1918 წლის 20 ნოემბერს ჟანა ებიუტერმა გოგონა გააჩინა, რომელსაც დედამისის სახელი ჟანა დაარქვეს. ამადეო ისეთი ბედნიერი იყო, რომ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ თავის ახალშობილ გოგონაზე ყველა შემხვედრს უყვებოდა. მერე გადაწყვიტა ეს ამბავი ბისტროში აღენიშნა და როდესაც გოგონას დაბადების რეგისტრაციისთვის კანცელარიაში მივიდა, კარი დაკეტილი დახვდა.

ბოლოს, დრამის უკანასკნელი აქტი. 1920 წლის 1 იანვარს ლეოპოლდ ზბოროვსკიმ, რომელიც შეშფოთებული იყო მოდილიანის ჯანმრთელობის მდგომარეობით, სახლში ჩაკეტა, რათა ის საწოლ-

ში დარჩენილიყო. მხატვარი ხმამაღლა მითხოვდა გამოშვებას და ბოლოს და ბოლოს სახანძრო კიბით გამოიპარა. ისე მოხდა, რომ მოდილიანი შეეჩეხა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოშვებული მორის უტრილოს. სიხარული, ხვევნა, ბოლოქარი ქეიფი, რომელიც თავდაპირველად ბისტროში დაიწყო და ამადეოს სახლში გაგრძელდა, სადაც ამ დროისთვის მეორე ბავშვზე ორსული ჟანა მივიდა.

მომდევნო დღეს მოდილიანი გვიან დამემდეგ სვამდა და დაეხეტებოდა უკაცრიელ, ცივ ქუჩებში. ნაცნობ-მეგობრების კომპანია ეხვეწებოდა დაბრუნებულიყო სახლში ჟანასთან, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა, შემდეგ კი გარშემოყოფთა შეურაცხყოფა დაიწყო. ილანძღებოდა, ყვიროდა, რომ მას არ ჰყავს მეგობრები და არც არასოდეს ჰყოლია. შემდეგ კი მოულოდნელად გაყინულ მერხზე დაჯდა და ყველას სთხოვა, მისთვის მიებაძათ – მოდის ლივორნოს პორტის ნავისადგომი ელანდებოდა ილაჯგამოცლილი მხატვარი ბოდავდა.

ბოლო დროს მოდილიანის სულ უფრო ხშირად ემართებოდა გონების დაბინდვა: ბოდვისას ესაუბრებოდა წარმოსახვით აღამიანებს, ხოლო ბუღვარზე მიმქროლავ განათუბულ მანქანებში ჩინურ დრაკონებს ხედავდა.

იმ საბედისწერო დამებს მოდილიანი სახლში ტაქსით დაბრუნდა და ფილტვების ანთების სიმპტომებით ჩაწვა. ჰქონდა მღაღი სიცხე და ცხელება გამუდმებული ბოდივით. 1920 წლის 22 იანვარს ამადეო უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს ღარიბთა და უქონელთა საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა 24 იანვრის საღამოს. მეგობრები ისხენებენ მხატვრის უკანასკნელ სიტყვებს: “საკამო გონება შემრჩა რათა მიხვედ – ეს დასასრულია”. შემდეგ კი დაამატა: “ეს ვაკოცე ჩემს ცოლს, ჩვენ მზად ვართ სამუდამო ბედნიერებისთვის”.

25 იანვარს ჟანა ებიუტერი საავადმყოფოში მოდილიანისთან გამოსამშვიდობებლად მივიდა მამამისთან ერთად და იმავე დამეს მოიკლა თავი – მშობლების სახლის საძინებლიდან ფანჯარაში გადააბიჯა. ჟანა ცხრა თვის ორსული იყო.

ამადეოს დაკრძალვამ მეტად პომპეზურად ჩაიარა, რასაც ვერ ვიტყვით ჟანას დაკრძალვაზე. ამოდ ცდილობდნენ მეგობრები ჟანას მშობლების დარწმუნებას – ახალგაზრდები ერთ საფლავეში დაკრძალა. ებიუტერების წყვილმა ეს შორს დაიჭირა.

არადა, სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, ჟანას ნეშტი გადაიტანეს მოდის საფლავეში პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. საფლავის ქვის წარწერა მათი ცხოვრების წიგნში უკანასკნელი ჩანაწერია, რომელიც იტალიურ ენაზეა შესრულებული: “ამადეო მოდილიანი. მხატვარი. დაიბადა ლივორნოში 1884 წლის 12 ივლისს. გარდაიცვალა პარიზში 1920 წლის 24 იანვარს. სიკვდილმა მას დიდების წინ მიუსწრო. ჟანა ებიუტერი. დაიბადა პარიზში 1898 წლის 6 აპრილს. გარდაიცვალა პარიზში 1920 წლის 25 იანვარს. ამადეო მოდილიანის ერთგული ცხოვრების თანამგზავრი, რომელსაც მან სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა”.



„როცა ბიორბი თბილისს ესტუმრა, ცოტა დავლიეთ...“



დღევანდელ სპორტულ მოგონებებს ცნობილ ქართველ ჩოგბურთელს დაეუბნებოდა. ალექსანდრე მერტრეველი და ლილა მესხი წლების განმავლობაში უცხოეთში წარმატებულად ასპარეზობდნენ და თანამემამულე გულშემატკივრებისთვის დიდი სიხარული მოჰქონდათ. თავის დროზე ალექსანდრე მერტრეველს უიმბლდონის ტურნირის ფინალში უთამაშია, ლილა მესხს კი იმ დროის არაერთი ვარსკვლავი დაუმატებია. სამწუხაროდ ირაკლი ლაბაძის შემდეგ სპორტის ამ სახეობაში განსაკუთრებული წარმატებისთვის აღარ მიგვიღწევია. გვეყავს ნიკოლოზ ბასილაშვილი, მაგრამ მას დასამტკიცებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს. შედარებით კარგად ანა ტატიშვილიც ასპარეზობდა, მაგრამ ანამ აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო და ჩვენი ქვეყნისთვის რამდენიმე წელია დაკარგულია.

ბასთან ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ სამწუხაროდ, ოცნება ვერ ავისრულდა. უამრავ ძლიერ ჩოგბურთელთან მითამაშია: პანჩო გონსალესი, ჯონ ნიუკომბი, ბიორნ ბორგი, ჯიმ კონორსი, ილიე ნასტასე, ანტონიო პიეტრანჯელი, მანუელ სანტანა, მაგრამ საუკეთესო ავსტრალიელი როდ ლეივერი იყო. ის არ გახლდათ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული, თუმცა ბრწყინვალე ტექნიკას ფლობდა და საოცრად გრძობდა ბურთს! მასთან ერთად ხშირად მივარჯიშობა.

ბიორნ ბორგი? საკამათო არაა – უმაღლესი დონის ჩოგბურთელი იყო, ამავდროულად ნოვატორიც: მან შემოიტანა უკანა ხაზზე თამაში, მოწოდების ორი ხელით მიღება, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ლეივერთან მისი შედარება არ შეიძლება. ერთხელ, როცა ბორგი თბილისს ესტუმრა, ცოტა დავლიეთ და მითხრა, ჩოგბურთის გამო პირველად შენთან წაგების შემდეგ ვიტვიტო.

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში ზედიზედ სამჯერ მოვიგე მთავარი პრიზი. წესისამებრ, ის სამუდამო მფლობელობაში გადმომეცა – ძალიან ღამაში ჯილდო იყო, ძველებური, ვერცხლისფერი, საოცრად ღამაში ორნამენტებით! ერთ მშვენიერ დღეს თბილისში სახლი გამიტყეს და მხოლოდ ის თასი წაიღეს. სამწუხაროდ, სამუდამოდ დაიკარგა.

ამერიკაში მოგებული ერთი ტურნირის შემდეგ, როცა მკითხეს რა გადმოგცემო, ავტომატურად მიმეცა, ვერცხვით ვუპასუხე. ძალიან ღამაში „ფორდ-მუსტანგი“ მისახსოვრეს, სპორტული, კონდიციონერით... მოსკოვში ოთხი დღე ნომრის გარეშე დავტოვდი, მილიციას ერთხელაც არ გაუშურებია! მერე თბილისში ჩამოვიყვანე. იმ დროს ჩვენთან რამდენიმე უცხოური მანქანა დადიოდა, ერთ-ერთი ლეგენდარული ანსამბლის „ორეას“ სამხატვრო ხელმძღვანელს რობერტ ბარბი-მაშვილს ჰყავდა – მოჭადრაკე ბორის სპასკისგან იყიდა თავის დროზე.

ერთხელ ღვე იაშინთან ერთად ვიყავი ინდოეთში, დელიში. მაშინ ლეონიდ ბრუნევი ჩავიდა იქ და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდებოდა, დადებითი ფონის შესაქმნელად მსახიობები და სპორტსმენებიც წაგვიყვანეს. სადღაც საშინელ სასტუმროში შეგვასახლეს, არც ცივი

წყალი მოდიოდა, არც – ცხელი. საჭმელზე არაფერს ვამბობ – სამხარეულოში რომ შევიხედეთ, უმ ხორცს ასობით ბუზი ეხვეოდა... მახსოვს, იაშინს არაფერი ჰქონდა წამოდებული – პირსახოცი იმით გავედინეთ და ტანი გავიწმინდეთ. მალე ყველაფერი ყელში ამოვივიდა და იქაური ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელს დაუვრეკე, მოგხედეთ-მეთქი. მისმა პასუხმა თავზარი დამცა: თურმე არც იცოდა ინდოეთში რომ ვიყავით. მალე წაგვიყვანეს სრულყოფილი სასტუმროში და ჩვენც გვეშველა. იმ დღეებში იაშინს ძალიან დაუყახლოვდი – დიდებული კაცი იყო!

ლეილა მესხი – „1983 წელს ევროპის იუნორთა ჩემპიონატზე გავდი, რომელიც საფრანგეთში გაიმართა. იქ მესამე ადგილი დავიკავე – ნახევარფინალში ქალთა ჩოგბურთის მომავალ ლეგენდასთან, შტეფი გრაფთან წავაგე. იმ დროს უცხოეთში მე არავინ მიცნობდა, შტეფი კი ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა – იმ დროისთვის წამყვან სპორტულ კომპანიებთან რამდენიმე კონტრაქტზე აკავშირებდა. ხედვით რატომ გიყვებით ამას? საბჭოთა და დასავლეთის საჩოგბურთო ცხოვრებაზე რომ შეგეგმიანთ შთაბეჭდილება. იქ იუნორები პროფესიონალებად ყალიბდებოდნენ, ჩვენთან კი ჯერ კიდევ ელემენტარულითვის გვეწვევდა ბროლოდა.

1987 წელს პირველი დიდი საერთაშორისო გამარჯვება ვიხვიე: იუგოსლავიაში მსოფლიო უნივერსიადა მოვიგე ერთი თედა და წყვილთა შორის. ამ შეჯიბრებაში მართლა ძალიან ძლიერი სპორტსმენები იყრიდნენ თავს და უზომოდ გამიხარდა ჩემპიონობა. ერთეულთა ფინალში მასპინძელი, მონიკა გულეში დავამარცხე. თუ სწორად მახსოვს, იმ დროისთვის ჩემი მეტოქე მსოფლიო რეიტინგში 42-ე საფეხურზე იდგა. გარშემოცოვებმა უნივერსიადას მოგება კი მომილოცეს, მაგრამ იქვე დამატეს, წარმატება კარგია, მაგრამ ჩათვალე არაფერისთვის მიგიღწევია, ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყო. ეს რჩევა არასდროს დამვიწყებია. მალე ტაინში საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა. იქ ფინალში გავდი, თუმცა ნატალია ზერევესთან დავმარცხდი.

კარიერის განმავლობაში უამრავ ძლიერ მეტოქესთან მითამაშია, რამდენიმე მათგანისთვის მომიგია კიდევ, ყველაზე ტკბილად კი 1991 წელს მარტინა ნავრატინო-


ვასთან გამარჯვება მაგონდება. ქალთა ჩოგბურთის ლეგენდა ამერიკაში, ჰილტონ ჰედის ტურნირზე დავამარცხე. გამარჯვებული მესამე სეტს უნდა გაერკვია. 5-4-ს რომ ვიგებდი, თავსხმა წვიმა წამოვიდა და მატჩის დასრულება ერთი დღით გადაიდო. ძალიან დაძაბული გემი გამოვიდა – დაახლოებით 15 წუთი ვითამაშეთ. მარტინამ რამდენიმე ბრეკი ვერ გამოიყენა, მეც ვანიავე მატჩ-პოინტები, თუმცა მეხუთე გამოვიყენე და გავიმარჯვე! სხვათა შორის, იმავე შეჯიბრებაზე ათეულის კიდევ ორ წევრს ვძლიე: ჯენიფერ კაპრიატის და ნატალია ზერევეს. იქ ფინალამდე მივედი, მაგრამ სამწუხაროდ, გაბრიელა საბატინისთან დავმარცხდი.

1992 წელს, ბარსელონაში გამართული ოლიმპიური თამაშები ჩემი ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება იყო. იქ წვილაში ვითამაშე ზერევესთან ერთად. ნატალია ჩემზე გამოცდილი მეწვილე იყო, რეიტინგში პირველ-მეორე ადგილებზე იმყოფებოდა, თუმცა ოლიმპიადას არცთუ კარგ ფორმაში შეხვდა. მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა მოვუმატეთ და ნახევარფინალში გავდი. იქ დებ ფერნანდესთან ძალიან დაძაბული შეხვედრა წავაგეთ – 6:7, 6:7. საბოლოოდ მესამე ადგილზე გავდი და ბრინჯაოს მედალებით „დაგემარჯვდი“.

საჩოგბურთო სამყაროში ორ ერთნაირ სპორტსმენს ვერ ნახავთ – ყველა რადიკალურად განსხვავებულია. ორ მათგანთან განსაკუთრებით ვემეგობრობდი – არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან და ესპანელ არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან. შტეფი გრაფი ჩაკეტილი გოგო იყო, გასახდელში არავის ეკონტაქტებოდა. ასევე თბილად მახსენდებიან ბულგარელი დები მალევე-

ბი. საბატინისთან დაკავშირებით ერთ ისტორიას გავიხსენებ. კარიერის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მეუღლესთან ერთად ამერიკაში ვიყავი ტურნირზე. ვხედავ გაბრიელა გვიხლოვდება. პავლე იცნო, გადაეხვია, მოიკითხა და უცბად ჰკითხა, ლილა სად არის, აქ არ მინახავსო. პავლემ ჩემზე მიუთითა, ის კი კინაღამ გაგიჟდა, ვერ გიცანი, ძალიან შეცვლილხარო. ეტყობა ახალმა ვარცხნილობამ დააბნია – სანამ სპორტსმენი ვიყავი, თმას მოკლედ ვიჭრიდი“.

გამოვიდა სერბი კრემლიოვის ნიგნ „ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერბი კრემლიოვის წიგნისა „ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“ (რედაქტორი ალექსანდრე შანბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში. ტელ. 599.209.624
თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.
ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველარკოს წიგნი „პამპასი“, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.
წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა.
თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.
ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იზმორი
- ამბობენ, თქვენმა ვაჟმა სამსახური იშოვაო!
- დიახ, ბონში საქონელს კლავს.
- კმაყოფილია?
- რა თქმა უნდა. ბავშვობიდან უყვარდა ცხოველები.

ებრაელი ქალიშვილი დედას:
- სულ ექვსი დღეა, რაც დაეჭორწინდი, ჩემი ქმარი კი საღამოს სასტუმროში წავიდა დასასვენებლად.
- არა უშავს, ღმერთმა დააწვას მეშივე დღეს დასვენება.

ორი თანამშრომელი საუბრობს:
- შენი ანეკდოტი ჩემს ცოლს მოუყვივი და ორი კვირა არ მეღაპარაკება!
- გადასარეგია, ახლა შენს სიდერს მოუყვივი!

ღიასახლისი სტუმარს:
- უკვე მიბრძანდებით? ხომ არ ისადილებოთ? გარეთ წვიმს.
- რა გაქვთ სადილად?
- მოხარული მაკარონი.
- იცით, არც ისე ძალიან წვიმს.

პარლიამენტული სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუპოვა ომი მალაქრ ნატიონალურ ფარმაკომაფიას, მის დაპირებას რომ სდილობდა.
ლომენტი ბანძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათეულების სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრატის გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამიარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.
ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟიშვილი ზეზუა.
კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.
ტელ: 593-22-66-51
მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან